პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 132 (19873) | სამშაბათი, 9 ივნისი, 1987 წელი. | ◆ ფასი 3 კაპ.



სსრ კავშირი: ძმობის მისამართები

საბჭოთა ლატვია

ორმოცდაშვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც, ლატვიის სახალხო პოეტის იან სუდრაბკალნის ხატოვანი სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმპერიალისტთა ხარბ ხელში მოქცეული ბეკონისა და კარაქის მცირე ნაჭერი“ — ლატვიის რესპუბლიკა სამუდამოდ შეუერთდა საბჭოეთის ძმურ ოჯახს.

ამ მცირე დროის მანძილზე არნახულად განვითარდა და განმტკიცდა მისი ეკონომიკა, კულტურა, ხელოვნება, ამაღლდა მშრომელთა ცხოვრების დონე.

ამჟამად ლატვიის სს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოეთში, მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, გარდაქმნის, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის დამკვიდრების შეუქცევადი პროცესი, რაც აქაურ მშრომელთა დაძაბული ვეგმებისა და აღმშენებლობითი ამოცანების წარმატებული შესრულების საუკეთესო წანამძღვარია.

სწორედ ამის თაობაზე ვობეითხრობთ დღევანდელ სპეციალურ გვერდში რუბრიკით — „სსრ კავშირი: ძმობის მისამართები“ გამოქვეყნებული საკ. „კომუნისტის“ კორესპონდენტთა მასალები.

რევოლუციური, შეუქცევადი!..

ᲛᲐᲛᲐᲓ ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი საბჭოეთის სახალხო მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში, მშრომელთა ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ უბანზე მიმდინარეობს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, ჭეშმარიტად რევოლუციური გარდაქმნების შეუქცევადი პროცესი, რომელსაც დასაბამი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა, დააკანონა პარტიის XXVII ყრილობამ და კონკრეტულ-სამოქმედო პროგრამად წამოაყალიბა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა.

სწორედ ამ მხრივ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ნაყოფიერი, მაძიებლური მუშაობის შედეგია, რომ რესპუბლიკის ეკონომიკაში დადებითი ცვლილებები ხდება. შესრულდა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, მთელი რიგი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების შარშანდელი სახელმწიფო დავალებანი. რესპუბლიკის მშრომელებს სულ უფრო მეტი წვლილი შეაქვთ საერთო-საკავშირო დოვლათის გამრავლებაში, რაც ქვეყნის მასშტაბით ამაღლებს საბჭოთა საქართველოს პრესტიჟსა და ავტორიტეტს.

დიახ, წარმატებები და სასიკეთო ცვლილებები თვალსაჩინოა, მაგრამ ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ნაკლოვანებებიც საკმაოდ გვაქვს. სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში სახურველზე ნაკლები ტემპითა და მასშტაბით მიმდინარეობს გარდაქმნა, ბევრი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა ინერციით მუშაობას, თავადაც ძნელად გარდაიქმნება და საქმესაც ვერ წარმართავს ახლებურად.

შემდგომი წინსვლის შემფერხებელი ამ ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დროულ გამოსწორებაში კი რესპუბლიკის კომუნისტებს, მშრომელებს ძალზე დაეხმარება გარდაქმნის, რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის გადიდების აქტუალური ამოცანების, საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერსპექტივების კონკრეტული განხილვისადმი მიძღვნილ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივის თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ ი. კ. ლიგაჩოვის სიტყვაში მოცემული დებულებების, საქართველოში ყოფნისას შრომითის კოლექტივებსა და პარტიულ ორგანიზაციებში შესვედრების, საუბრების დროს მის მიერ გამოთქმული მითითებების, რჩევა-დარიგებების უთუო შესრულება.

უწინარესად საჭიროა საქმის სწორი, დღევანდელობის მოთხოვნათა შესაბამისი ორგანიზაცია და მისი შედეგები, რადგან პარტიაც და ხალხიც სწორედ მათი მიხედვით მსჯელობენ გარდაქმნის ნამდვილი მიმდინარეობის შესახებ.

გარდაქმნის საკვანძო პოზიცია კი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა ი. კ. ლიგაჩოვმა აღნიშნა, ეკონომიკა და მატერიალური წარმოებაა. და თუმცა ამ მხრივ წარმატებები მართლაც გვაქვს, განსაკუთებული და საფიქრალ-საზრუნავი მაინც საკმაოდ ბევრია. კერძოდ, შემფოთებას იწვევს ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება, შრომის საყოფიერებასთან შედარებით ძირითადი ფონდების უპირატესი გადიდების ტენდენცია, მცირდება ფონდუკუგება, რის გამოც მარტო შარშან რესპუბლიკას თითქმის ნახევარი მილიარდი მანეთის სამრეწველო ნაწარმი დააკლდა, მთლიანად პროდუქციაში თანდათან კლებულობს სახელმწიფო ხარისხის ნიშნით ნაკეთობათა ხვედრითი წილი, სერიოზული ნაკლოვანებებია კაპიტალურ მშენებლობაში, ტრანსპორტზე, სოციალურ სფეროში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი არსებითად უსწრებდა კიდეც საერთო-საკავშირო მაჩვენებელს, ამ დარგშიც ბევრი მტკივნეული პრობლემაა. მეთერთმეტე ხუთწლედში მატების ტემპი ერთიორად შენელდა, თანაც არა მარტო მიღწეულ დონესთან, არამედ გეგმასთან შედარებითაც კი. ეს განსაკუთრებით გამოსატა საზოგადოებრივ სექტორში, ჩამორჩენის დასაძლევად მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ბოსტნეულისა და ბაღჩეულის, ციტრუსების, ხორცისა და რძის წარმოება.

სერიოზული მუშაობა გვმართებს: მეცხოველეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ჯირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცება, სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის წარმოების გადიდების, კოლხეთის დაბლობის ათვისების ტემპის დაჩქარება. განსაკუთრებულ ყურადღებასა და ძალისხმევას მოითხოვს მეჩაიეობაში შექმნილი პრობლემები. იმის გამო, რომ მეათე და მეთერთმეტე ხუთწლედებში „მწვანე ოქროს“ დამზადების მოცულობა, ჩვეულებრივ, ძირითადად ჩაის ფოთლის კრეფის აგროტექნიკური მოთხოვნების უხეში დარღვევების მეშვეობით იზრდებოდა, ხოლო დარგის განვითარების პერსპექტივებს ნაკლები ყურადღება ეთმობოდა, დღესდღეობით რესპუბლიკის ჩაის პლანტაციების საერთო ფართობის 45 პროცენტი (30 ათასი ჰექტარი) ამორტიზებულია, ანუ თავისი დრო მოჭამა. ახალი პლანტაციების გაშენების დონეებები კი მეთერთმეტე ხუთწლედში მხოლოდ 27 პროცენტით შესრულდა. ასეთი მდგომარეობა სიძნელეებს ქმნის მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამჟამად ცენტრალური ორგანოები ამთავრებენ შექმნილი სიტუაციის დაძლევის წინადადებათა განხილვას. მაგრამ საჭიროა, რომ ყველა რესპუბლიკურმა ორგანომ, რომლებსაც ჩაის კულტურის განვითარებისათვის ზრუნვა აკისრიათ, ყოველი ღონე იხმარონ დარგის ავტორიტეტის აღდგენისათვის.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი სოციალურ-კულტურული სფეროს განვითარებისათვის, საერთოდ სოციალური პოლიტიკის გააქტიურებისათვის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხუსტდეს ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. კიდევ უფრო მეტად უნდა დაიხვეწოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისი ახალი ფორმებითა და მეთოდებით გამდიდრდეს საკადრო პოლიტიკა, ყველა უბანზე მტკიცედ უნდა დამკვიდრდეს არჩევითობა, საჯაროობა, დემოკრატია, კვლავაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მშრომელთა ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას.

ეს საკითხი — დიდი საბჭოეთის ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცება-გაღრმავების საკითხი — მუდამ იყო და არის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. მაგრამ მას მაინც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმოს წელს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის საიუბილეო წელს. ხალხთა ლენინური მეგობრობა დიდი ოქტომბრის, საბჭოური ცხოვრების წესის ერთ-ერთი უმთავრესი მონაპოვარია და მას თვალსაჩინოვით უნდა ეუფრთხილდებოდეთ.

სწორედ ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი მიღწევაა ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ენების თავისუფალი განვითარება და ამასთანავე რუსული ენის გავრცელება, რომელიც ყველა საბჭოთა ხალხმა ნებაყოფლობით აღიარა ერთაშორისი ურთიერთობის საშუალებად. ამიტომ კვლავაც ყოველნაირად უნდა გავაუმჯობესოთ ეროვნული და რუსული ენების შესწავლისა და სწავლების ხარისხი საშუალო და უმაღლეს სკოლებში, უფრო სისტემური ხასიათი უნდა მივცეთ მშრომელთა ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდისათვის მიმდინარე მუშაობას.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკიცებისათვის.

საჭიროა საქმისადმი ნოვატორული, არასტანდარტული მიდგომა, გაბედული მოქმედება, საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების გამუდმებული სრულყოფა-გარდაქმნა.

საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, მშრომელებს, რომლებიც უდიდ მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობით, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად აფასებდნენ თავიანთ ნამოღვაწარს, ნაყოფიერად იღვწოდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს საბოლოო წარმატებისათვის, აქვთ ამის უნარიც, შესაძლებლობაც და, რაც მთავარია, დიდი სურვილიც. ეს კი მიზნის მიღწევის საწინდარია.

საიუბილეო შრომითს ვახტანგ ახალგაზრდობა

ᲓᲘᲓᲘ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს შორის მოწინავე ადგილი დაიმკვიდრა მადნეულის სამთო-მამდიდრებელმა კომბინატმა. წლეულს, პირველი კვარტალის შედეგებით, მადნეულელებმა მოიპოვეს სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მრეწველობისა და შეხამამისი პროფკავშირის გარდამავალი წითელი დროშა.

თავდადებით შრომობს კომბინატის კოლექტივი მეორე კვარტალშიც. წარმატებას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელს უწყობს შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცება, მოვალეობისათვის გაძლიერებული პასუხისმგებლობა, საწარმოს ღირსებაზე შეუნელებელი ზრუნვა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: კომბინატის მამდიდრებელი ფაბრიკის კომკავშირულ-ახალგაზრდული ოსტატი რ. გფრინდაშვილი. კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯ. ყაფლანიშვილი (შუაში) ესაუბრება მოწინავე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრებს — კონვეიერის მემანქანეს ნ. ნონიაშვილს და ფლოტატორის ჯ. გურჯიევას; ღია მაღაროს სამთო-სატრანსპორტო საამქროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, მძღოლი ტ. ქართველიშვილი.

Დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.



ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲥᲘᲜᲣᲚᲛᲭᲠᲔᲚᲘᲡ „ᲡᲘᲒᲘᲠᲘᲡ“ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲔᲓᲘᲡ ᲔᲥᲡ�პᲔᲓᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲛᲔᲑᲡ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ამხანაგებო!

საბჭოთა ადამიანები სიამაყითა და აღტაცებით ადევნებენ თვალს თქვენს ექსპედიციას. არქტიკის ათვისებისა და შესწავლის სახელოვან ისტორიაში ჩაიწერა ახალი შესანიშნავი ფურცელი.

გისურვებთ წარმატებით დაგემთავრებინოთ დასახული პროგრამა. გისურვებთ აგრეთვე ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, ახალ მიღწევებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

Მ. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕი.

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ

ᲔᲠᲗ თვეზე ცოტა ნაკლები დრო დარჩა ზაფხულის შრომითი სემესტრის დაწყებამდე. მისთვის ემზადება საქართველოს 12 ათასამდე სტუდენტი და 190 ათასზე მეტი მოსწავლე. ისინი იშრომებენ რესპუბლიკის სტიქიისაგან დაზარალებულ რაიონებში, აზერბაიჯანის, თათრეთის ასს რესპუბლიკის, კრასნოდარის მხარის, სმოლენსკის, ვოლოგდისა და ჩიტის ოლქების, ქალაქ გაგარინის ობიექტებზე.

რესპუბლიკის სტუდენტებისა და მოსწავლეების შრომითი სემესტრის სათანადო ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის მონაწილეებმა. თათბირის მონაწილეობდნენ ხელმძღვანელი პარტიული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები, მინისტრები, ბიცსეიერები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები.

თათბირზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მოსამზადებელი მუშაობა გაწეული, მაგრამ ადგილებზე საქმის ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჭიროა ყველა არსებული რეზერვის უფრო აქტიური ამოქმედება. მით უმეტეს, რომ წლევანდელი შრომითი სემესტრის ამოცანები განსაკუთრებით პასუხსაგები და რთულია. კერძოდ, სტუდენტების ნაწილი იგზავნება საგარეჯოს, დმანისის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, გარდაბნის, წულუკიძის, მახარაძის რაიონებსა და ქალაქ წყალტუბოს ზონაში, სადაც შენდება ბინები გადმოსახლებული სვანების ოჯახებისათვის. ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში კი ამოქმედდება რაჰპ მამედოვის სახელობის გაერთიანებული ინტერნატი, ახალგაზრდა მშენებლების შემადგენლობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად იქნებიან უკრაინის, აზერბაიჯანის, თათრეთის ასს რესპუბლიკის სტუდენტებიც. ტრადიციისამებრ უმაღლეს სასწავლებელთა წარმომადგენლები ჩავლენ სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო ობიექტებზე, იმუშავებენ ჯანმრთელობის დაცვის, მომსახურების, კავშირგაბმულობის სისტემების დაწესებულებებში. გარდა ამისა, სპეციალური სტუდენტური რაზმები შეუდგებიან ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღდგენა-რესტავრაციას, ჩაებმებიან არქეოლოგიურ გათხრებში.

ყოველივე ეს, ხაზგასმით ითქვა თათბირზე, დაკინებით მოითხოვს რაზმების ფორმირებისას თვისებრივი შემადგენლობის უზრუნველყოფას, მათს კომპლექსურ მომზადებას შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისათვის. ამ ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებაში უპირველესი როლი ეთმობათ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელობას, პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანოებს, სამეურნეო მუშაკებს, რომლებიც განსაზღვრავენ სამუშაოთა ფრონტს ადგილებზე. სადღეისოდ რესპუბლიკაში ფაქტობრივად უკვე დასრულდა სახელშეკრულებო კამპანია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ყველა პრობლემა არ გადაჭრილა. მაგალითად, უფრო კონკრეტულად უნდა განისაზღვროს დამინავების ადგილები, დეტალურად იქნეს გაანალიზებული სტუდენტთა ყოფის ორგანიზაცია, მომავალი სამუშაოების დეკადური განაწილება, მოგვარდეს საშენი მასალების მიწოდება, შეიქმნას შრომის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, ფინანსური დისციპლინის განმტკიცების შესაძლებლობები. და, რა თქმა უნდა, წარმატებას ვერ მივაღწევთ, თუ თვით სტუდენტურ რაზმებში არ დავამყარეთ სათანადო წესრიგი, მტკიცე დისციპლინა. არ უნდა განმეორდეს გასული წლების შეცდომები, როცა იყო დისციპლინის მოთხოვნათა უგულებელყოფის, ალკოჰოლიანი სასმელების მოხმარების, თვითნებური წასვლის შემთხვევები. განსაკუთრებით მწვავედ დგას უშიშროების ტექნიკის მოთხოვნების დაცვის, სტუდენტებისა და უფროსკლასელების სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურების საკითხი. ყველა არსებული სიძნელე მიზანდასახულად, კომპლექსურად, გადაუდებლად უნდა გადაილახოს.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველაშვილი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სტუდენტური რაზმების ცენტრალური შტაბის საწარმოო განყოფილების გამგე ა. ი. ბიკოვი.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲪᲐᲛᲔᲑᲔᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲐᲑᲠᲝᲛᲠᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲔᲡ?

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲔᲒᲛᲝᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲔᲜᲐᲥᲘ, ᲡᲘᲚᲝᲡᲘ...

ᲐᲣᲐᲠᲔᲑᲐ საქმე აქვთ ახლა ლაგოდეხელებს. ერთნი თამბაქოს პლანტაციებს უვლიან, მეორენი — სამინდის ყანას, მესამენი — ეთერზეთების ნედლეულს ამზადებენ... მთავარი და საშურ საქმედ კი მაინც პირუტყვის საკვების დამზადებას მიიჩნევენ. ყველაზე მეტი მუშახელი, ტრანსპორტი ბალახის თიბვაზეა დასაქმებული.

საუკეთესო ყუთათან მწვანე მასას კომეურნეობები სენაჟისათვის იყენებენ. ბეჯითობენ ცოდნისკარელი და ულიანოვკელი საკვებმომპოვებლები. შედეგებიც ურიგო როდი აქვთ. თითოეულს 1.300-1.500 ტონა სენაჟი აქვს ჩადებული. აფენინა და არეშფერანის კომეურნეობებმა კი უკვე იმაზე მეტი დაამზადეს, რასაც გეგმით ვარაუდობდნენ.

სოფელ ვარდისუბნისა და შრომის კომეურნეობებმა, რატომღაც, ჯერ სილოსის ჩადება ამჯობინეს და ამ საქმეში გაუსწრეს სხვებს. თითოეულს უკვე 600-700 ტონა სილოსი აქვს ჩადებული. მთავარი კი ის არის, რომ დამზადებული სილოსი მთლიანად მაღალხარისხოვანია, დამუშავებულია კონსერვატებით. ასეთივე წესით 200-300 ტონა სილოსი აქვთ დამზადებული ბაისუბნის, ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებს. ამ წესით სულ რაიონში 2.500 ტონაზე მეტი სილოსია დამზადებული.

საშური საქმეაო, ვამბობთ, და მართლაც ასეა. ვინც იჩქარა, მოიგო, ზოგმა გეგმის ნახევარი, ზოგმა უფრო მეტი მწვანე მასა დაამზადა.

ᲕᲚ. ᲛᲐᲦᲔᲚᲘᲫᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲜ ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲔᲚᲔᲑᲘ

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). უკანასკნელ დღეებში გამოიდარა და ჰვავი წამოიზარდა. ბევრგან უკვე მოსათიბია. პირუტყვის ამ საკვების დასაგროვებლად ქალაქის ზონის ბევრი კოლმეურნე გამოვიდა. ყველაზე კარგად იშრომეს ორპირელმა საკვებმომპოვებლებმა. მათ ჰვავი 50 ჰექტარზე გათიბეს და უკვე 160 ტონა სენაჟი დადაზდეს. უხეში საკვების დამზადება თავიდანვე მაღალი ტემპით დაიწყეს ციხისა და კურსების კოლმეურნეებმა. პირველმა უკვე ჰვავის 120 ტონა მწვანე მასა აიღო, მეორემ კი 90 ტონა. მათ პირუტყვის საკვები ფერმებთან მიიტანეს და საამედოდ დაბინავეს.

ჰვავის ნათესების თიბვა ორგანიზებულად მიმდინარეობს სფინრის, სოჩხეთის, ცუცხვათის, ხრეულის, ოჯოლის, გურნის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. სულ ზონაში ჰვავის ნათესი გათიბულია 271 ჰექტარზე.

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ: ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲗᲐᲒᲜᲐᲜ

ᲛᲘᲜᲐᲜᲥᲠᲘᲡ ᲮᲐᲡᲮᲐᲡᲐ ᲤᲔᲠᲔᲑᲘ

ᲫᲕᲔᲚᲘ ოსტატების ფანტაზიითა და ხელოვნებით შექმნილი ლამაზი ტირული მინანქარი დიდი ხანია ამშვენებს რესპუბლიკის მუზეუმებს. საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეცნიერები შეეცადნენ ჩასწვდომოდნენ ამ მომცრო ზომის შედევრების ფერთა საიდუმლოს და შექმნეს ადვილდნობადი მინანქრის მიღების ახალი ტექნოლოგია.

— პირველი წელი როდია, რაც დეკორატიულ მინანქარზე ვმუშაობთ, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან ა. ქიქოძესთან საუბარში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგემ არჩილ სარუხანიშვილმა. — ჩვენ სამეურნეო ხელმეკრულება დავდეთ იუველირმრეწვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტთან, რომელიც ჩვენს ნამუშევრებს იყენებს სუვენირებისა და სამკაულების შესაქმნელად. განვაგრძეთ ტექნოლოგიის დახვეწა, რათა მიგვეღწია ეკონომიურობისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს, რომ სხვადასხვა მასალის შეხამება ფერთა მდიდარ პალიტრას იძლევა. მაგალითად, საჩხერის კვარცის ქვიშა დმანისის ქვიშისაგან განსხვავდება მის შედგენილობაში შესული საღებავი ნივთიერებებით. სხვადასხვაგვარი ბუნებრივი მასალების ვარირებით იღებდნენ მინანქარს, რომელიც უხვი ფერებით მოგვაგონებს ძველებური მინანქრის ხელოვნების ნიმუშებს. ამან აფიქრებინა მეცნიერებს, რომ ძველი ოსტატები მინანქარს საღებავებს კი არ უმატებდნენ, არამედ იყენებდნენ სხვადასხვა ადგილობრივ ნედლეულს ხასხასა ფერების მისაღწევად.

ნატიფი პანოები, ვიტრაჟები, მრავალფეროვანი სუვენირები, ბიჟუტერია, რომლებიც დამზადებულია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტთა მიერ შექმნილი მინანქრით, ხალასი და მდიდარი ფერებით ახარებს თვალს.

მეხეთის კერამიკისა და სუვენირების საექსპერიმენტო ფაბრიკაში იხსნება მხატვრული მომინანქრების უბანი. სწორედ აქ დაინერგება ახალი ტექნოლოგია, რომელზეც მიღებულია ორი საავტორო მოწმობა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ბორის მიხეილის ძე ᲑᲔᲚᲝᲣᲡᲝᲕი დანიშნა სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის მინისტრად.

ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲔ ᲝᲠᲑᲘᲢᲐᲖᲔ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, მთავრდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ლავეიკინის კოსმოსური ფრენის მეოთხე თვე.

„მირ“ პილოტირებული კომპლექსის ეკიპაჟი წინა დღეებში ასრულებდა დამატებითი სამეცნიერო აპარატურით სადგურის კმაყოფილების სამუშაოებს, ტექნიკურ ექსპერიმენტებს, ამზადებდა მოწყობილობას მომავალი სამუშაოებისათვის.

კერძოდ, კოსმონავტებმა დაამონტაჟეს და მუშაობისათვის მოამზადეს კიდევ ორი ხელსაწყო. ერთ-ერთი მათგანი — მრავალზონალური სპექტრომეტრი — გათვალისწინებულია დედამიწის ზედაპირის ფოტოგადაღებისათვის. მეორე ხელსაწყოს — ელექტრონული ფოტომეტრის — საშუალებით შეასრულებენ ასტროფიზიკურ ექსპერიმენტებს.

დღეს კოსმონავტები განაგრძობენ ძალური ჰიროსკოპული სტაბილიზატორების გამოყენებით მოძრაობის მართვის ახალი სისტემის შესამოწმებელ გამოცდას, ასრულებენ საბორტო მოწყობილობის ტექნიკური მომსახურების ოპერაციებს.

ტრაექტორული გაზომვების მონაცემების თანახმად, პილოტირებული კომპლექსის ორბიტის პარამეტრებია:

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 383 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 345 კილომეტრი;

— გარშემოვლის პერიოდი — 91,6 წუთი;

— დახრილობა — 51,6 გრადუსი.

სამუშაოები დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე მიმდინარეობს დასახული პროგრამის მიხედვით. იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი თავს კარგად გრძნობენ.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქარხანა „საქსოფლმანქანის“ მშრომელებმა იაპონიაში ჩაის სასხლავი აპარატები სრულყვეს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მთელი რიგი ღირსებების მიუხედავად, მათ ვიბრაციის მაღალი დონე ახასიათებდათ. მიზეზი ის გახლდათ, რომ აგრეგატის სამუშაო ორგანოში, რომელიც ორი დანისაგან შედგებოდა, ერთ-ერთი მოძრავი იყო. ახლა ეს, პრაქტიკულად ახალი, მანქანები საწარმოო გამოცდას გადიან.

საწარმოს პროდუქცია ამჟამად მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებენ კონსტრუქტორებს, სოფლტექნიკის დამამზადებლებს. ამას წინათ ქარხანაში შეუდგენენ მოტობლოკების ძრავების წარმოებას, რომლებსაც ნიადაგის დამუშავების დროს იყენებენ პირად საკარმიდამო ნაკვეთებში, დამხმარე მეურნეობებში. ახლა საჭირო აღარ არის ძვირად ღირებული ძრავები, რომლებიც აქამდე ვალუტით უნდა შეგვესყიდა.

ერთი სიტყვით, ძვრები გაცილებით საგრძნობი იქნებოდა, მთლიანად რომ შეეცვალათ მოძველებული მოწყობილობა. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა. შარშან, მაგალითად, დამთავრდა ახალი საწარმოო კორპუსის მშენებლობა. იქ დაიდგმება თანამედროვე მრავალპროფილიანი ტექნიკა, რომლის მეოხებითაც ერთბაშად განხორციელდება რამდენიმე ოპერაცია, რომლებიც აქამდე სხვადასხვა ჩარხზე სრულდებოდა. საპროექტო სამძღვარეს რომ მიაღწევს, გაისად კი იგი შეადგენს 30-35 ძრავას, საწარმო დამატებით გამოუშვებს 8 მილიონი მანეთის პროდუქციას.

— ქარხანა, ძირითადად, აწარმოებს მობილურ ჩაის საკრეფ მანქანებს „საქართველოს“, აგრეთვე ჩაის კრეფის მცირე მექანიზაციის საშუალებებს, — თქვა საქინფორმის . კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის პარტკომის მდივანმა ა. ნიკონოვმა, — გაისად შემოვიღებთ სახელმწიფო მიღებას. ეს გაზრდის როგორც ჩვენს, ისე „საქსოფლმანქანის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა პასუხისმგებლობას. გარდაქმნა მათს მუშაობაში უწინარეს ყოვლისა უნდა შეეხოს „ჩა-900,“ „პპ-1“ მანქანების განახლებას, მათი ტექნიკური დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების დახვეწას, მონორელსურ ტრანსპორტორს. კონსტრუქციის დაუხვეწველობას ხომ სირთულეები მოსდევს აწყობის დროს, რომ აღარაფერი ვთქვათ უკვე მსხვრევაზე, მოცდენებზე უშუალოდ მეურნეობებში.

წელს საქართველოს სოფლის რაიონები მიიღებენ „საქართველოს“ მარკის დაახლოებით ორას მანქანას, 11 ათას ხელის ჩაის საკრეფ და 5750 ჩაის სასხლავ აპარატებს. დაახლოებით ექვსი მილიონი მანეთის ოცამდე დასახელების სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას.

ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘ-ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

„ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲖᲛᲘ“-ლენინიზმის მზარდი როლი და იდეოლოგიური ბრძოლა“ — ასე ეწოდება მონოგრაფიას, რომელიც ახლახან გამოვიდა. იგი მოამზადა მთელი რიგი ქვეყნების მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ინსტიტუტების წარმომადგენელთა კვლევითმა



ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: ᲫᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ

ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲪᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ

Ბ. ᲙᲣᲒᲝ,

ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ

რᲘᲗ არის ძვირფასი ჩვენთვის ახლანდელი ოქტომბერი? პასუხი უსასრულოდ ბევრია. მაგრამ მთავარი ალბათ, ის არის, რომ იგი, განსაკუთრებით ახლა, უახლოვდება საბჭოთის ცხოვრების პირველ დღეებსა და წლებს. თავისი გარდამქმნელი სულისკვეთებით, ადამიანთა განწყობილებით, მათი საქმეებით.

ამას მოწმობს რესპუბლიკის მშრომელთა წერილებიც, რომლებსაც ყოველდღე იღებს ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. „სკკპ XXVII ყრილობისა და იანვრის პლენუმის შემდეგ გარდაქმნა შეიმჩნევა ყველა მიმართულებით. ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ დაინგრა ქვეყანაში საკანცელარიო მაგიდებისა და სავარძლებისაგან შექმნილი კაშხალი...“ „მეტი გახდა საჯაროობა, მიმდინარეობს პატიოსანი სჯა-ბაასი რესპუბლიკაში მომწიფული პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის გზების შესახებ...“ „ყველა რანგის პარტიულმა მუშაკებმა მინიმუმამდე უნდა შეაფცირონ კაბინეტებში ჯდომის დრო და იმუშაონ მასებში, ისე მოიქცნენ, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი და მისი თანამებრძოლები იქცეოდნენ“...

სწორი და გამჭრიახი იყო სხვა სტრიქონებიც, რომლებიც ჯერ კიდევ 1919 წელს დაწერა საბჭოთა ლატვიის პირველი მთავრობის მეთაურმა პეტრე სტუჩკამ: „... არც ერთი რევოლუციური მოძრაობა არ ჭრაბა ნისლივით. იგი გადასცემს თავისი მონაპოვრის არსს შემკეიდრეობით მომავალ მოძრაობას“.

განუყრელია დროთა კავშირი. ამ დღეებში, რომლებიც ქვეყნის იუბილეს უძღვის წინ, უფუნდებდან ერ უნდა დაგრჩეს მისი თანამგზავრი მეორე დღესასწაულიც — იმ მომენტის 70 წლისთავი, როცა პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ლატვიელ მსროლელთა პოლკები დადგნენ პროლეტარული რევოლუციის დროშის ქვეშ და მას შემდეგ იწოდებიან ლატვიელ წითელმსროლელებად.

ისინი აღსდგნენ საერთაშორისო ბურჟუაზიის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად მგზნებარე ინტერნაციონალისტური ლოზუნგით: „თავისუფალი ლატვიისათვის თავისუფალ რუსეთში!“ ისინი იბრძოდნენ იმისათვის, რომ დაემკვიდრებინათ თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა მთელი უდიდესი ქვეყნის ტერიტორიაზე — ბალტიის ზღვიდან წყნარ ოკეანემდე. მაშინ, 1919 წელს, ეს ოცნება მთლიანად ვერ ახდა. ეროვნულმა ბურჟუაზიამ მათი მშობლიური ლატვია, როგორც სახალხო პოეტმა იან სუდრაბკალნმა ხატოვნად თქვა, გადააქცია „იმპერიალისტთა ხარბ ხელში მოქცეულ ბეკონისა და კარაქის მცირე ნაჭრად“. მხოლოდ 1940 წელს აღდგა დარღვეული კავშირი.

იმნა�ევროპის ნედლეულის დანამატად ქცეული რესპუბლიკა წარმოადგენდა ეკონომიკური და კულტურული დაქვეითების სურათს, იგი ვაჭრობდა, უმთავრესად, მერქნით, სოფლის მეურნეობის პროდუქციით. ექსპორტის მხოლოდ მეახედს შეადგენდა მანქანათმშენებლობის ნაწარმი. საჭირო იყო ყველა მომძე მოკავშირე რესპუბლიკის გაერთიანებული ძალები, რათა აგვენაზღაურებინა ბურჟუაზიული ბატონობის წლებში გაფლეული.

გავიხსენოთ, რომ გავთავისუფლდით პიტლერული შემოსევის წინ, და ამიტომ კიდევ უფრო აოცებს ადამიანს მშვიდობიანი მშენებლობის ორმოც წელზე ცოტა მეტი ხნის შედეგები. რესპუბლიკის ეკონომიკა 55-ჯერ და მეტად გაიზარდა, ახლა მის საფუძველს შეადგენს ელექტრონული, რადიოტექნიკური, ქიმიური, მანქანათმშენებელი და მრეველობის სხვა მოწინავე დარგები. ლატვიისმარკანი პროდუქცია იგზავნება თითქმის ან ქვეყანაში. არსებითად, ხელახლა შეიქმნა მძლავრი ენერგეტიკული პოტენციალი. საბჭოთა ლატვიას აქვს დიდი სავაჭრო ფლოტი, ინდუსტრიულად აღჭურვილი სოფლის მეურნეობა, სერიოზული პოტენციალის მქონე მეცნიერება, რომელიც ახლა მხოლოდ ომისშემდგომ წლებში განვითარდა.

ჩვენი საზღვარგარეთელი იდეური მტრები ვერა და ვერ შერიგებიან ასეთ შთამბეჭდავ შედეგებს. ისინი კვლავ და კვლავ აყენებენ ყბადაღებულ „ბალტიისპირეთის საკითხს“. ლაყბობენ ლატვიის რუსიფიკაციის, ლატვიური ეროვნული კულტურის დაკნინების შესახებ. მტრული ხმები ყალთაბანდურად აფასებენ და ურევენ დროს. სწორედ ვასილი საუკუნის დამლევს ეროვნული ლიტერატურის კლასიკოსი რუდოლფ ბლაუმანისი ეულისტკივილით წერდა: „განა ჩვენ, ლატვიელებს, გვეყოლება ოდესმე ისეთი დიდი მწერალი ან პოეტი, რომ მისმა ჩრდილმა გადააბიჯოს სამშობლოს ვიწრო საზღვრებს? განა გამოჩნდება ისეთი ნიჭიერი ადამიანი, რომლის სახელიც მთელ ევროპას ეცოდინება?“ დღეს კი ლატვიელ მწერალთა ნაწარმოებები გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა 27 ენაზე და საზღვარგარეთის ოცზე მეტ ქვეყანაში. და არა მარტო ევროპის ქვეყნებში.

ლატვიელი ხალხი ამაყობს თავისი მიღწევებით და არავის მისცემს უფლებას შელახოს ისინი. ჩვენ ნაკლოვანებანიც გვაქვს. ისინიც ვიცით, მათზე ვლაპარაკობთ, არ ვფარავთ, და ახლა საკმაო მატერიალური და მორალური საშუალებები გვაქვს, რათა ისინი გამოვასწოროთ და, როგორც მაიაკოვსკი ამბობდა, „რევოლუციამი უფრო შორს ვიცეროთ“. ასეთი საშუალებები მოგვცა პარტიამ თავის ისტორიულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის და 1987 წლის იანვრის პლენუმებსა და XXVII ყრილობაზე.

ლატვიაში, რიგაში, ლატვიელ წითელმსროლელებს რომ შესვდა, მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათი ენერგია, ძალა, სიცოცხლის წყურვილი შთაგვაგონებს, რომ ვეტერანებისაგან უნდა გადავიღოთ მტკიცე სულისკვეთება. მტკიცე სულისკვეთების ადამიანი დაძლევს ყოველ სიძნელეს, გაუძლებს ყველაფერს.

დიახ, გარდაქმნის განხორციელება ადვილი არ არის. ჩვენში წარმატებულად დაიწყო მიმდინარე წლის პირველი სამი თვე მრეველობაში. ჯერ კიდევ ვერ დავძლიეთ ეს ჩამორჩენა. მაგრამ ადამიანთა საქმიანი თვითორგანიზაციული განწყობილება ოპტიმიზმს გვინერგავს. დამაიმედებელია განახლების პირველი ნიშნებიც. ძალას იკრებს დარგთშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსები. იმვეზა ახალი ეკონომიკური საწარმოო ფორმირებანი სოფლის მეურნეობაში — აგროფირმები, რომლებიც აერთიანებენ მწარმოებლებს, გადამმუშავებელი დარგებისა და ვაჭრობის ფუნქციებს. მეურნეობრიობის ახალ მეთოდებს, ორგანიზაციული სტრუქტურების შეცვლას ის მოჰყვა, რომ რესპუბლიკაში უკვე ზედიზედ მეორე წელია არ არის არარენტაბელური კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილურობა. ახლა მთავარი ამოცანაა გავზარდოთ მარცვლეულის მოსავლიანობა — საკვებწარმოების საფუძველი. ამას ეწყვეტა პროგრესული ტექნოლოგიების ფართო და აქტიური დანერგვის მეშვეობით.

ხორცეულდება შემობრუნება უფრო აქტიური სოციალური პოლიტიკისაკენ, მშრომელთა ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გაუმჯობესებისაკენ. ამ ამოცანის ვადაწყვეტას ისახავს მიზნად, კერძოდ, რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამა „ბინა-2000“. მის რეალიზაციაში სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ ადგილობრივი საბჭოები, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა კოლექტივები, რომელთაგან ბევრმა იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს თავისი მშრომელები ცალკე ბინებით უკვე 1995 წლამდე.

ყოველდღიურად ვგრძნობთ, თუ რა მძლავრ შემოქმედებითს იმპულსს აძლევს ადამიანებს დემოკრატიზაციის, საჯაროობის გაფართოების პროცესები. სხვადასხვა რანგის უკვე ექვსი ათასზე მეტმა ხელმძღვანელმა, მათ შორის ახლა ქვეყანაში კარგად ცნობილი „რიგის“ ქარხნის დირექტორმა თავისი ადგილები დიკავეს შრომითი კოლექტივების ნებით. სურათი არასრული იქნება, თუ არ ვიტყვით, რომ პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების ორგანიზატორულ მუშაობაში აშკარად იგრძნობა ცვლილებების სიო, რომელიც ბადებს ინიციატივის, ძიების, მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ატმოსფეროს.

ასეთი აზრებით, სტქმეებითა და გეგმებით ვეგებებით ოქტომბრის წლისთავს. ვეგებებით იმის მკაფიო შეგნებით, რომ დასაბამი მიეცა მხოლოდ რევოლუციურ ცვლილებებს, რომ გველის დიდი, დაძაბული, მაგრამ სასიხარულო შრომა საბჭოთა ადამიანების, ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲡ, ᲚᲐᲢᲕᲘᲐ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

● **ᲓᲘᲓᲘ ᲮᲜᲘᲡ** მეგობრობა აკავშირებთ ერომანეთთან სახალხო მეურნეობის, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის ბევრ დარგში დასაქმებულ საქართველოსა და ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მშრომელებს, რომლებსაც ძმური შეჯიბრება და თანადგომა საგრძნობლად უადვილებს თავთავიანთი ამოცანების შესრულებას და წინსვლას.

● **ᲡᲣᲚ** უფრო ვითარდება და მტკიცდება ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობაც. კერძოდ, შარშან გამოცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ მკითხველებს მიაწოდა კრებული „ლატვიელი საბჭოთა პოეტები“, რომელშიც შესულია არვიდას სკალბეს, ოიარს ვასიეტის, ვიზმა ბელშევიცას და სხვათა, სულ 17 პოეტის ლექსები. ისინი თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო რენე კალანდიამ. გამოსაცემად მზად არის ლატვიური მოთხრობები „ქარვის ზღვის პირას“ (მთარგმნელი — უშანგი სახლთხუციშვილი) და ალექსანდრს ჩაჭხის ლექსები (მთარგმნელი — რენე კალანდია).

● **ᲗᲐᲕᲘᲡ** მხრივ ლატვიაში კარგად იცნობენ ნ. ბარათაშვილის, შ. ნიშნიანიძის, ი. აბაშიძის, ხ. ბერულავას, მ. მაჭავარიანის, გ. ლეონიძის, მ. ლებანიძის, გ. აბაშიძის, ს. ჩიქოვანის და სხვათა ლექსებს, ნ. ლორთქიფანიძის, მ. ჯავახიშვილის, ნ. დუმბაძის და სხვა ქართველი პროზაიკოსების ნაწარმოებებს.

● **ᲛᲨᲘᲓᲠᲝ** კონტაქტები აქვთ ხელოვნების წარმომადგენლებსაც. კერძოდ, თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელმწიფო დრამატიკული თეატრი ლატვიის სსრ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრებმა დადეს ხელშეკრულება საშემსრულებლო და სადადგმო კოლექტივების თანამშრომლობისა და გაცვლის შესახებ.

● **ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ** თანახმად რიგაში იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. მკერვალიძე, ა. ხომერიკი, ე. გეწაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. კალმახელიძე, რომლებიც მონაწილეობდნენ ლატვიის საოპერო თეატრის სპექტაკლებში „ტოსკასა“ და „ტრავიატაში“.

მომავლისათვის „აიდაში“ წამყვანი პარტიის შესახსრულებლად მიწვეულია ნ. მკერვალიძე, ხოლო ა. ხომერიკი „რიგოლეტოში“ ითამაშებს.

● **ᲐᲛᲘᲡ** შემდეგ მაისში ლატვიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წარმომადგენლებიც ეწვივნენ თბილისს. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კ. ზარინშმა, ლატვიის დამსახურებულმა არტისტებმა ვ. ოკუნმა და ე. ბრახმანემ, წამყვანმა მსახიობებმა ი. პეტერსონსმა, ლ. გრეიდანემ და ს. იზიუმოვმა პარტიები შეასრულეს „ტრავიატასა“ და „ოტელოში“.

● **ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ** თანამშრომლობა ეკონომიკაშიც. საქართველო ლატვიას უგზავნის სამრეწველო მტვერსასრუტებს, ლაქსალებავებს, ელექტროაპარატურას, კაბელებს, ძალოვან ტრანსფორმატორებს, ელექტროშესადუღებელ აპარატებს და სხვა ნაწარმს.

● **ᲚᲐᲢᲕᲘᲔᲚᲘ** მშრომელები გვიგზავნიან „რიფის“ მარკის ავტომანქანებს, ელექტროსაოზოლაციო მილებს, ამწეთა მუხრუჭებს, ჯაჭვს, ელეკტორორულ თაროებს, დაბალვოლტიან აპარატურას, სხვადასხვა ხელსაწყოს, შუქტექნიკურ ნაწარმს, კაბელებს, კაჟიულს და სხვა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲚᲐᲢᲕᲘᲐ



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ᲛᲐᲚᲞᲘᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚ-ᲙᲐᲠᲐᲥᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ, ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲚᲐᲢᲕᲘᲔᲚᲘ ᲛᲔᲧᲕᲔᲚᲔ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲙᲐᲑᲠᲘᲔᲚᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐ, ᲠᲫᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲠᲘᲓᲐ ᲢᲐᲑᲝᲢᲐ; ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ, ᲞᲝᲔᲢᲘ ᲐᲠᲕᲘᲓ ᲡᲙᲐᲚᲑᲔ; ᲪᲘᲪᲕᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲚᲝᲛᲘ ᲐᲜᲗᲐᲛᲑᲚᲘ „ᲠᲝᲗᲐᲚᲘᲐ“; ᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲜᲐᲒᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ...

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲭᲠᲝᲜᲘᲙᲐ.



ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ

—ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲚᲣᲓᲛᲘᲚᲐ ᲚᲐᲑᲣᲪᲙᲘᲐᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲛ ᲔᲜᲐᲖᲔ — ᲚᲐᲢᲕᲘᲣᲠᲘ, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ ᲣᲬᲔᲕᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲠᲬᲚᲝ ᲛᲝᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲐᲮᲚᲐᲠᲖᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲝᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲗ ᲙᲘ, რიგელმა მეკავეჯეებმა, თავიანთ საქმიანობაზე ჩემთან საუბარი დაიწყეს... პრობლემებით, რომელიც ასე აწუხებთ ყოველდღიურ საქმიანობაში, სიძნელეებით. მაშინ ვიფიქრე, რომ მათი წარმატების გასაღები, ყველაზე მნიშვნელოვანი საქმისადმი მათეული დამოკიდებულებაა. ამის გარშემო კრიალოსანივით აისხმება სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობა, ყოველი მათგანი თავისებურად რომ განსაზღვრავს წარმატებას, უზრუნველყოფს მათს რეპუტაციას.

ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲗ.

როდიდან იწყება იგი, აქ ზუსტად ვერ გეტყვიან, ათწლეულების მიღმა იკარგება პირველი ოსტატთა სახელები. ამ ტრადიციას აქ სათუთად უფრთხილდებიან, შთამომავლობას გადასცემენ ხის დამუშავების ტექნოლოგიას, არ კარგავენ იმას, რისთვისაც მუგნიათ, რაც აუთვისებიათ. ერთი სიდიმლო მეც გამანდო ცნობილმა ოსტატმა, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატმა მოდრის ბოშმა — ხე ცოცხალია, იცით? ამიტომ არის მასზე მუშაობა ერთდროულად რთულიც და საინტერესოც, ისე უნდა მოეჭცე, როგორც ადამიანს, თუ უსულოდ მიიჩნევ, არ დაგინდობს, ისეთი უსახური რამ გამოგვა ხელიდან, საკუთარ თავს ვერ აპატიებ.

აქ არ ავიწყდებათ ზრუნვა იმაზე, თუ ხვალ ვინ დადგება მათ ნაცვლად დაზგასთან, ვის გადასცემენ ესტაფეტას. №17 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი მათ უმზადდებს კადრებს.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ფაქტორი **კონიუნქტურაა,** რასაც აქ ვალის მოსახდელად კი არ მიმართავენ, როგორც ბევრგან, არამედ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. მომხმარებლის გემოვნებისა და მოთხოვნილების შესწავლა, მოდის თანამედროვე მიმართულების განსაზღვრა და ყოველივე ამის გათვალისწინებით საქმიანობის წარმართვა აქ წესად დამკვიდრდა. ამას სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „გაუიასთან“ მჭიდრო კონტაქტები განსაზღვრავს.

გაერთიანებაში თვალყურს ადევნებენ მოდის საერთაშორისო მიმართულებას, ეცნობიან მსოფლიო სტანდარტებს, რასაც გამოწვლილვით შესწავლილ ადგილობრივ მოთხოვნილებებს უკავშირებენ.

ყოველივე ამის გათვალისწინებით მუშავდება აქ ახალი მოდელების პროექტები. ამიტომაც მოსწონს მომხმარებელს ასე კომბინატის მიერ გამოშვებული „ყოფაცხოვრებო ავეჯი „დაინა“, „ასტრიდა“, რომლებმაც ამ ორი-სამი წლის წინათ საკავშირო დათვალიერებაზე გაიმარჯვეს, აგრეთვე საექსპორტო ეთნოგრაფიული ნაკრები ავეჯი „ქრისტინა“, სასტუმრო და სასადილო გარნიტურები და სხვ.

ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ გარდაქმნა, ახლებურად აზროვნება და მუშაობა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. გამონაკლისნი არც რიგელი მეავეჯეები არიან. მათი წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორთა რგოლში ერთი უმთავრესთაგანი სწორედ **სიახლის გრძნობა** გახლავთ.

კომბინატის №2 საამქროში, მაგალითად, მეტად ცუდი სამუშაო პირობები იყო, სავიწროვეში უხდებოდათ საქმიანობა, არადა, აქ ბევრი მნიშვნელოვანი პროცესი სრულდება — გალაქვა, გახეხვა, ღებვა, პრიალა ზედაპირის დამუშავება. ადრე, თითქმის ყველა სამუშაო ხელით რომ სრულდებოდა, ბუნებრივია, მეტისმეტად დიდი დრო იხარჯებოდა. მარტო ერთი ფენა ლაქის გაშრობას რვა საათი სჭირდებოდა. ხშირად ერთი ფენა ლაქი საკმარისი არ არის, რამდენიმეა საჭირო. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან შემოტანილი ავტომატური გასაწყობი ხაზის დამონტაჟებამ საამქროში (ასეთი 25 ცალი ხაზი შარშან შემოიტანეს ჩვენს ქვეყანაში) მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მდგომარეობა. ამ ხაზზე დიდი მოცულობის სამუშაო სრულდება, თანაც უმოკლეს დროში.

კომბინატში ერთ, გარეედან შემოტანილ სიახლეს მეორე — უკვე შიგნით ორგანიზებული დაუკავშირეს. საქმე ის არის, რომ ამ ბოლო ხანს აქ ბევრს ფიქრობდნენ ბრიგადული მეთოდის შემოღებაზე. დაგვაგვიანდა კიდეც ამ მუშაობის საინტერესო ფორმის პრაქტიკულად დანერგვაო, თქვეს კომბინატში. ამ ახალმა ხაზმა კი თითქოს თავისთავად მოითხოვა კოლექტიური შრომა. გამწყობთა ბრიგადას გამოცდილი ოსტატი ვიტაუტას შურინი ჩაუდგა სათავეში. და მოხდა ისე, რომ ამ ერთ უბანზე კარგად მოწყობილმა შრომის ორგანიზაციამ ბევრი რამ შეცვალა დადებითად მარტო სამქროში კი არა, მთელი კომბინატის ცხოვრებაში. რაც ყველაზე მთავარია, წარმოება უფრო მოქნილი, ელასტიკური გახდა. მკვეთრად გაუჯობესდა ხარისხი. ამ უკანასკნელის როლსა და მნიშვნელობაზე იმდენი ითქმება და იწერება ამ ბოლო ხანს, რომ ველარაფერს დაამატებ. ერთი რამ ცხადია: ის დრო წავიდა, როდესაც ხარისხის პრობლემა უკანა რიგში რომ გადაინაცვლებდა ხოლმე.

ახლებურად მუშაობას ამგვარად აზროვნების გარდა ახალი ტექნიკაც სჭირდება. ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვა კი მართლაც რომ უდიდეს საქმეს აკეთებს. კომბინატში, მაგალითად, ბევრად გააუმჯობესა ხარისხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფირმა „ერნესტის“ გამსვლელი ტიპის ფართოლენტიანმა დაზგამ, აგრეთვე ავეჯის დეტალების პროფილნაფხვენების დასაწებებელმა ნახევრად ავტომატურმა დაზგამ და სხვ.

ტექნიკა ტექნიკად, მაგრამ მთავარი მაინც ადამიანია. ასე სწამთ შურინის ბრიგადაში. ტექნიკა ხეს, როგორც ცოცხალს, ვერ მოეჭცევა, ასე რომ, მათზე, მათს მარჯვენაზე კვლავ ბევრია დამოკიდებული. ხან არის ხოლმე, რომ არა და არ გამოდის საქმე ისე, როგორც საჭიროა, მაინც არ ეშვიბიან, სანამ თავისას არ მიაღწევენ.

— საერთო ინსტრუქცია კოლექტიური იჯარის თაობაზე ბრძად ყველას ვერ გამოადგება, — ასეთია საამქროს მუშაკთა აზრი, — ამიტომ ჩვენ ჩვენი პირობების მიხედვით მოვიიგეთ ახალი სისტემა, რაც შემდეგს ნიშნავს: ოცკაციან ბრიგადას 4 ათას ხუთასი მანეთი ხელფასის ფონდი აქვს გამოყოფილი. მუშაკთა შეებულების, ბიულეტენის, მივლინების დროს სხვა ბრიგადის მუშაკებს არ იხმარენ, ამ დროს მომსახურების ზონას ფაართოებენ — თვითონ მუშაობენ ყველას მაგივრად და შრომაც მათ უნაზღაურდებათ. რაც შეეხება საშუალო ხასიათს, იგი სირთულის მიხედვით არის გასაწყობული მუშაკებზე, ყველას თავისი საქმე აქვს. ხელფასი გამომუშავების მიხედვით ეძლევათ. — თვეში საშუალოდ 260-310 მანეთი.

— არის ზოგიერთი ხარვეზი, მომმხარებლმა რომ შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ის წუნია, ამიტომ სანამ არ გავასწორებთ, არ ვუშვებთ ხოლმე, — ამბობენ ბრიგადაში, — და მაჩვენებენ კარადაში შიგნით პაწაწინა, ძალზე წვრილ ღრეჩოს, ერთი შეხედვით, თითქმის შეუმჩნეველს. გარდა ამისა, წესით კარადა შიგნით და გარეთ ერთი ფერის, ერთი და იგივე ხარისხის ხისა უნდა იყოს, არ შეიძლება, მაგალითად, შიგნით, რადგან არ ჩანს, სხვა, უფრო დაბალი ხარისხის მასალა გამოიყენო. ერთი სიტყვით, მუშაობაში მრავალი წვრილმანია, მაგრამ აქ მეორეხარისხოვნად არაფერი მიაჩნიათ. „საქმეში წვრილმანები არ არსებობს“ — ეს ნათქვამი კომბინატის დევიზად იქცა.

ᲐᲛ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ ფუნქციონირებს კიდევ ერთი სიახლე — **სახელმწიფო მიღება,** რომელმაც ზემოხსენებულ ფაქტორთა რგოლში ძალაუნებურად წამყვანი ადგილი დაიკავა.

კომბინატში შარშანვე, წლის ბოლო თვეებში დაიჭირეს საიმისო თადარიგი, რომ როცა უკვე ოფიციალურად დაიწყებდა ფუნქციონირებას ეს სახელმწიფო რგოლი, რაც შეიძლება ნაკლებ სიძნელეებს წაწყდომოდნენ. საბჭოების ხუთკაციანმა ბრიგადამ, რომელსაც მცოდნე, კომპეტენტური, პრინციპული მუშაკი თედორე ხენინში ხელმძღვანელობს, ერთხელ კიდევ კრიტიკული თვალით გადახედა საქმიანობის ყველა სფეროს. ნახეს, რომ ზოგან ტექნოლოგიური რეჟიმი იცოვეოდა, სხვა სიძნელეებიც იყო და ყველა ღონისძიებებს მიმართეს მათს აღმოსაფხვრელად.

საქმე უამრავია. კომისიამ ყოველთვის დიდძალი პროდუქცია უნდა გასინჯოს 42 მაჩვენებლის მიხედვით. პირველ თვეებში აღმოჩნდა, რომ 38 პარამეტრის მიხედვით ეს პროდუქცია აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, დანარჩენი დარღვევების ლიკვიდაციაც დაიწყეს. სიძნელეები და პრობლემები, რომლებზეც სტატიის დასაწყისში მოგახსენეთ და რომლებიც აგრერიგად აწუხებთ რიგელებს, დიდ ძალისხმევას მოითხოვს. წელიწადში 48 მილიონი მანეთის საქონლის გამოშვება უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს კომბინატის კოლექტივს, არადა, ყველაფერი მათზე როდია დამოკიდებული. ტრადიციულად ხშირად აღალატებენ მომწოდებლები, რასაც აწვდიან, ისიც ხშირად უხარისხოა. თვის პირველ ნახევარში უმასალობის გამო გაჩერებული რომ ხარ, მეორე ნახევარში, უფრო ხშირად კი მესამე დეკადაში რომ დაიწყებ დღე და ღამის გასწორებას, შედეგით მთლად კმაყოფილი, რასაკვირველია, ვერ დარჩები. ასე რომ, საზრუნავი ბევრი აქვთ. სურვილი უკეთ მუშაობისა, ტრადიცია მძლავრი და მოქმედი ცოცხლობს, ასე რომ, მომავალი იმედიანია.

Გ. ᲮᲐᲠᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ გზატკეცილიდან ელგავის ქარხნისაკენ ცაცაბო ჩასასვლელი ყოველთვის სიმბოლოდ ესახება ვიქტორ ბოსერტს. თავისი ბედის ასეთივე მკვეთრ შემობრუნებად მიაჩნია მას „რიფის“ დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დაკავებისათვის მოწყობილი სრულიად საკავშირო კონკურსი. მასში მონაწილეობამ გამარჯვება მოუტანა 38 წლის ციმბირელს, რომელიც წინათ ომსკის გადაცემათა კოლოფების ქარხანას მეთაურობდა.

დიდხანს დადიოდა ქარხანაში ახალი დირექტორი, ისმენდა საჩივრებს, პრეტენზიებს, ეკითხებოდა მუშებს, ეთათბირებოდა მათ. წლობით ვერ ხედავდნენ საამქროებში ტექნიკური სამსახურების წარმომადგენლებს, და აი უკვე ტექნოლოგთა, კონსტრუქტორთა ოცი პროცენტი ყოველ დღე ჩამოუვლის ხოლმე უბნებს. მაშასადამე, უკეთ წყდება კონფლიქტები წამოჭრილი პრობლემები.

— სწორედ ადგილებზე განვსაზღვრავთ, რისი გაკეთებაა აუცილებელი უპირველესად, — თქვა დირექტორმა. — ვფიქრობ, რომ რაფელთა დიდ პოტენციალზე, მათ მისწრაფებაზე, კვლავ მოიპოვონ წარმატება, ყველაზე დამაჯერებლად მეტყველებს შრომითი კონფერენცია, რომელიც გაიმართა ჩემი მოსვლისთანავე, მარტის დადგეს. მხოლოდ ძლიერ კოლექტივს შეუძლია ესოდენ რთულ პირობებში იკისროს ვალდებულება, რომ წელს გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებს ათას მიკროავტობუსს. ადამიანებმა იციან: მათი

ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ

რეალიზაციის მეოხებით მიღებული შემოსავალი მოხმარდება კოლექტივის სოციალურ განვითარებას.

ახალი დირექტორის არჩევის შემდეგ განვლილი დრო შედეგების შეჯამებისათვის არ კმარა. მაგრამ, უკვე ჩანს ცვლილებები ქარხნის ცხოვრებაში, სხვაგვარი ხდება მიკროკლიმატი კოლექტივში. ეს კი მთავარია.

ᲘᲣᲚᲘᲘ ᲕᲐᲜᲐᲒᲘ

ᲓᲠᲝ

მთავარი მაინც ფორმალიზმის დაძლევაა

ელენა ანდღელი წელიწადი რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური სწავლების სისტემაში მრავალი არსებითი ხასიათის ხიბლით გამოირჩევა. ადგილებზე ეძიებენ, ცდიან მუშაობის ახალ-ახალ მეთოდებსა და ფორმებს, არჩევენ მათგან უსეფოს, უფრო ეფექტიანს. გამოცდილება ნელ-ნელა, მაგრამ უკვე გროვდება.

იმის თაობაზე, თუ რა და როგორ კეთდება ამ მხრივ, კერძოდ, ხაშურსა და ფოთში, „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრებიან პარტიის ხაშურის რაიკომის მეორე მდივანი ე. ახვლედიანი და პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგე შ. ქაჯაია.

— **ალგათ** არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ ხაშურის, ისევე როგორც რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქისა და რაიონის მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის ორგანიზატორთა ყურადღება, — თქვა ე. ახვლედიანმა, — ძირითადად სტატისტიკისაკენ იყო მიმართული. იგი რაც შეიძლება შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო. სწავლებაში ჩამთლუთა დიდი რაოდენობა, ბევრი სკოლა და სემინარი, ნაკლებად მომზადებული პროპაგანდისტები, მეცადინეობისათვის უმაკაცრესად განსაზღვრული დღეები და ა. შ. პოლიტიკური განათლების კაბინეტი ერთგვარ სადისპეტჩერო პუნქტად იყო გადაქცეული. მკაცრად უნდა გვეკონტროლებინა, რომ ამ დღეებში მეცადინეობები უთუოდ გაკმართულიყო, პარტიულ კომიტეტებს იმის უფლებაც არ ჰქონდათ, ჩვენთან შეუთანხმებლად, საჭიროების მიხედვით, საკუთარი ინიციატივით შეეცვალათ მეცადინეობის დღე, საათიც კი. მიგვანდა, რომ თუ საწარმოში სამეურნეო მაჩვენებლები კარგია, მაშინ პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაშიც ყველაფერი რიგზეა. არადა, როგორც პრაქტიკამ მრავალგზის დაგვარწმუნა, საქმისადმი ამგვარი მიდგომა არ იყო სწორი.

ამიტომაც „1986-1987 სასწავლო წელს მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ორგანიზაციის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღების შემდეგ კრიტიკულად გადავხედეთ სწავლების ორგანიზაციას, სტრუქტურას, სტილს. ჯერ ერთი, სრულიად გაუგებარი იყო პარტიულობის მიხედვით მსმენელების გამიჯვნა. არც ის გახლდათ სწორი, რომ ერთ უბანზე, ერთ ბრიგადაში მომუშავე ამხანაგები სამუშაოს დამთავრების შემდეგ სხვადასხვა სკოლას მიაშურებდნენ, რომლებშიც ნაირნაირ საგნებს შეისწავლიდნენ. ამან ერთგვარი ბარიერები შეგვიქმნა სწავლების ორგანიზაციაში. როცა ერთ სკოლაში სხვადასხვა უბანზე მომუშავე მუშები სწავლობდნენ, თითოეული მათგანი საქმის კურსში კი იყო შრომითს კოლექტივში არსებული საერთო მდგომარეობაზე, მაგრამ, ბუნებრივია, პროპაგანდისტი თავის საუბარში თითოეულის წვლილს ვერ შეეხებოდა, ამიტომაც საუბარი ინფორმაციული გამოდიოდა... ამ და სხვა მოსაზრებების გამო გადაწყდა ხაშურის მექანიკური ქარხნის პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში მოგვიწყო ექსპერიმენტი, რომელიც დღესაც მიმდინარეობს და რომლის არსიც ასეთია: სკოლები და სემინარები დაკომპლექტდა პრინციპით — „ერთად ვმუშაობთ, ერთად ვსწავლობთ“. ახლა ერთად სწავლობენ კომუნისტები, უპარტიონი ამხანაგები და კომკავშირელებიც საკუთარი სამუშაო უბნების და ბრიგადების მიხედვით. პროპაგანდისტებმა შეარჩიეს ამ უბნების ხელმძღვანელი სპეციალისტები. როდესაც ეკონომიკური განათლების სისტემასაც უფრო ჩავუფრმავდით, ვიგრძენით, რომ რადგან აქ ძირითადად ეკონომიკური საკითხები ისწავლება, მშრომელთა პოლიტგანათლება ზარალდებოდა. ამიტომ ექსპერიმენტის სახით ამ სკოლებში შემოიღეს პოლიტიკური კურსის სწავლებაც, მაგრამ რაკი ქარხანაში ამ ეტი „უნივერსალი“ პროპაგანდისტი არ იყო, დაიხმარეს საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლები: ამ ადამიანებს მართალია არა აქვთ პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება, მაგრამ ენთუზიაზმით მოეკიდნენ საქმეს. როგორც მალე გამოირკვა, სწავლების ამ ფორმამ დაიტვირთა მსმენელები. ახლა მათ ეთმობათ მეცადინეობის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილს კი ძირითადი პროპაგანდისტი წარმართავს ეკონომიკურ საკითხებზე.

რა შედეგი მოგცა ექსპერიმენტმა? ჯერ უნდა აღინიშნოს, რომ აქ უხმაუროდ, უაეიოტაჟოდ, ძალზე პრაქტიკულად, გასაგებად გაანალიზეს მსმენელებს ექსპერიმენტის არსი, რის შედეგად გაიზარდა სწავლებისადმი მსმენელთა ინტერესი და აქტიურობაც, რადგან აქ თეორიასთან კავშირში ისეთი საკითხები განიხილება, რომლებიც თითოეულ მათგანს კონკრეტულად შეეხება.

მშრომელები, რომლებიც სწავლობენ კურსს „წარმოების ინტენსიფიკაცია“, მეცადინეობებზე ეცნობიან და განიხილავენ ინტენსიური განვითარების რელსებზე თავიანთი დარგის გადასვლის პირობებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის და სხვა საკითხებს. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ქარხნის წინაშე მდგომ ამოცანებთან კავშირით განიხილება.

კონკრეტული ეკონომიკის სკოლაში, რომელსაც პროპაგანდისტი ი. ნოზაძე ხელმძღვანელობს, გაერთიანდნენ საწარმოო-ტექნიკური კონტროლის, შრომისა და ხელფასის, სტანდარტების განყოფილებათა სპეციალისტები, რომელსაც სამსახურებრივად ეკისრებათ პასუხისმგებლობა წარმოების ინტენსიური გზით განვითარებისათვის. მაგრამ ამასთან პროპაგანდისტმა და მსმენელებმა შეძლეს იმის გაკეთება, რომ მეცადინეობა საწარმოო თათბირს კი არ დამსგავსებოდა, არამედ მის მონაწილეებს ეაზროვნათ ეკონომიკური კატეგორიებით, ამასთან პროპაგანდისტი პარალელურად კითხულობს პოლიტიკურ კურსსაც.

შრომითი კოლექტივის წინაშე წელს სერიოზული ამოცანებია. საწარმოს ძირითადი პროდუქცია — ეაშლის საჭრელი მანქანა უკვე წელს ექვემდებარება ატესტაციას უმაღლეს კატეგორიაზე. წელსვე შეუდგნენ ახალი მოდერნიზებული კონვეიერის ათვისებას, უნდა განხორციელდეს მოსამზადებელი სამუშაოები 1988 წლის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლისათვის.

მას შემდეგ, რაც პრესაში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „ეკონომიკური სწავლების სისტემის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებები“, იგი განიხილეს რაიონის პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ყველა სკოლაში და სემინარზე, პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების და პროპაგანდისტთა შუამავლობით სემინარებზე. გარდა ამისა პოლიტგანათლების კაბინეტში მოეწყო ბრგვალი მაგიდა იდეოლოგიური აქტივის მონაწილეობით. შემოსულია სამასზე მეტი წინადადება პროექტთან დაკავშირებით.

ამჟამად პროექტს შემაჯამებელი მეცადინეობებზე განიხილავენ.

ქალაქ ფოთის საწარმოებში, კერძოდ, ფოთის „ელექტროაპარატის“ ქარხანაში, საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში, ს. ორჯონიკიძის სახელობის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხანაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში, № 5 საშუალო სკოლაში, პოლიტგანათლების სისტემაში, — თქვა ფ. ქაჯაიამ, — კარგად მოიკიდა ფეხი მუშაობის ისეთმა ფორმებმა, როგორიც არის დისკუსიები, რეფერატების საქმიანი განხილვა, ცოცხალი კამათი, აზრთა გაზიარება. ამან მეცადინეობის პროცესში აქტიურად ჩაება მსმენელთა უმრავლესობა, შესაძლებელი გახადა თეორია პრაქტიკულად დაკავშირებოდა დღევანდელობას, რესპუბლიკის, ქალაქის, საწარმოს პრობლემებს.

მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლამ, სახელმწიფო მიღებამ მშრომელებში ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება მოითხოვა. ამ მიზნით შეიქმნა ეკონომიკური სამსახურების, მთავარი ინჟინრების, ეკონომისტების, ფინანსისტების საქალაქო სკოლები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკის ინტენსიური განვითარების პროცესების სიღრმისეული წვდომის, პერსპექტივების განსაზღვრის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

კარგად არის ცნობილი, რომ ყოველი სკოლის იდეური მიმართულება გადაწყვეტწყლად არის დამოკიდებული ლექტორთა შემადგენლობაზე. ამიტომ ყველა საწარმოსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ორგანიზებულია პროპაგანდისტებთან ინდივიდუალური მუშაობა თავისი საწარმოს, დარგის, სპეციფიკის გათვალისწინებით.

პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ექსპერიმენტის სახით დაიწყეს პროპაგანდისტებად კვალიფიციურ ლექტორთა მოწვევა. ისინი წინასწარ ეცნობიან ამა თუ იმ საწარმოს პრობლემებს და ამუშავებენ მათი გადაწყვეტის კონკრეტულ მეცნიერულ რეკომენდაციებს.

პროპაგანდისტებთან მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინეს საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურში, სადაც პოლიტგანათლების კაბინეტში პროპაგანდისტთა მოსამზადებლად მეცადინეობათა კონკრეტული თემების მიხედვით დროულად ადგენენ გეგმებს, მეთოდიკურ რეკომენდაციებს, საცნობარო-საინფორმაციო მასალების ლიტერატურას, თვალსაჩინოებას და პროპაგანდის ტექნიკურ საშუალებებს. ეწყობა ინდივიდუალური კონსულტაციები.

კარგი გამოდგა მუშაობის ისეთი ფორმა, როგორიც არის ერთგვაროვანი სკოლების ხელმძღვანელების საგნობრივ-მეთოდიკური მეცადინეობა, რომლის არსი შემდეგია: პროპაგანდისტი ამა თუ იმ თემაზე დამოუკიდებლად მუშაობის შემდეგ პარტკაბინეტში ყველა კითხვაზე იღებს ამომწურავ პასუხს როგორც მეცადინეობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, ისე თემის გარშემო დამატებითს მასალებზე. საგნობრივ-მეთოდიკური მეცადინეობა ერთგვაროვანი სკოლების ხელმძღვანელთა ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების, ყოველი მეცადინეობისათვის დამოუკიდებლად მზადების საუკეთესო საშუალებად იქცა.

სწავლების სასკოლო ფორმით გატაცებამ საგრძნობლად გაართულა მუშაობა. ჯერ ერთი, ძალზე გაჭირდა უმრავი სკოლისათვის მომზადებული შესაფერისი პროპაგანდისტის შერჩევა, რომ არაფერი ვთქვათ მათს რეზერვებზე. თანაც ყველა პროპაგანდისტისათვის ეს დავალება როდი აღმოჩნდა მოწოდება, რაც შემდგომ მუშაობაში ფორმალიზმის მიზეზად იქცა. საერთო საბოლოო შედეგი კი ცოდნის დაბალი დონე იყო.

პირველად ასეთი ფორმით მუშაობაზე გაბედულად თქვეს უარი ნავსადგურელებმა. მათ ყველა უმაღლესი განათლების მქონე საკმარისად მომზადებული კომუნისტი თვითგანათლების ინდივიდუალურ ფორმებზე გადაიყვანეს (აქ სამოცამდე კომუნისტი დამოუკიდებელი გეგმით მუშაობს). მათთან ნაყოფიერად მუშაობენ კონსულტანტთა ჯგუფები, რომლებიც ინდივიდუალურ და ჯგუფურ კონსულტაციებს აწყობენ. კონსულტანტები ცოდნის შეფასების თაობაზე შენიშვნებს და მიცემულ პრაქტიკულ დავალებებს დღიურებში აღრიცხავენ.

კონსულტანტი პარტიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით მსმენელს აძლევს დავალებას დაამუშაოს ესა თუ ის საკითხი და გამოვიდეს კოლექტივის წინაშე, მოამზადოს მასალები, გაანალიზოს რომელიმე პოლიტიკური მოვლენა და სხვა.

მუშაობის ამ ფორმამ ის დადებითი შედეგი მოგვცა, რომ გამოინახა პროპაგანდისტთა და ლექტორთა რეზერვები. ამდენად ინდივიდუალური მუშაობისას მიღებული ცოდნა რჩება არა ეგრეთ წოდებულ მკვდარ კაპიტალად, არამედ გადაეცემა სხვას პრინციპით — ისწავლე? ასწავლე სხვასაც. ხოლო იმისათვის, რომ მსმენელთა ინდივიდუალური მუშაობა თვითდინებით არ წასულიყო, შესასწავლი პრობლემების ერთიანი პრინციპის საფუძველზე შეიქმნა 5-7 კაციანი ინდივიდუალურად მომუშავე ჯგუფები, რომელთაც თვეში ერთხელ კონსულტანტები ეხმარებიან სწავლების ინდივიდუალური ფორმების დამუშავებაში, აგრეთვე აკონტროლებენ მათს მუშაობას. კვარტალში ერთხელ ინდივიდუალური საუბრებით შემაჯამებელ თეორიულ კონფერენციებზე ამოწმებენ მათს ცოდნას. ამ ფორმით მუშაობის პრინციპია შესწავლა — დამოუკიდებელი, განხილვა — კოლექტიური.

ვფიქრობთ, შრომითს კოლექტივებში უნდა მოქმედებდეს პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ერთიანი სისტემა მეთოდიკური და სასწავლო მატერიალური ბაზით, ერთიანი ხელმძღვანელობით.

კოლექტივები შეუდგნენ ამ კუთხით მუშაობის გარდაქმნას. ადგილებზე არსებულ პოლიტკაბინეტებთან და ქალაქის პარტკაბინეტში შექმნილია ერთიანი მეთოდსაბჭო პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემისათვის, რომელიც აკოორდინირებს მთელი პოლიტგანათლების სისტემას. არის სხვა სიახლეებიც, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში გარდაქმნის დაჩქარებას.

ქართული ვაზის გვირგვინი ბარსელონაში

ესპანათის ქალაქ ბარსელონაში დიდი საერთაშორისო გამოფენაა, რომელშიც საბჭოთა კავშირი ფართოდ არის წარმოდგენილი. მომზე რესპუბლიკებიდან გამოფენის მონაწილენი არიან საქართველო და მოლდავეთი. საქართველოს სსრ პავილიონის დირექტორმა დ. ვერულეიშვილმა გვითხრა, რომ „საგამოფენო დარბაზი, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ექსპოზიციაა, საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოფენის მრავალრიცხოვან დამთვალიერებლებს საბჭოთა საქართველოს დროშა და ღერბი ეგებება. აქვეა მინანქრით შესრულებული ბარსელონის, მოსკოვის და თბილისის სურათები. გამოფენილია ჩვენი რესპუბლიკის ის ნაწარმი, რომელმაც მორს გაიარა სახელი. მნახველთა ყურადღებას იქცევს ქირურგიული მედიცინის სიახლენი, რომელთა ავტორები არიან სახელგანთქმული დასტაქრები ო. ღუდუშაური და თ. შავგულიძე. ესტრადა ეთმობა ინსტრუმენტულ-ვოკალური ანსამბლ „ოვერიას“ (ხელმძღვანელი — ა. ბასილაია) და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს რესპუბლიკური მოდელების სახლს (დირექტორი — გ. ბერაძე). ესასნელებისათვის ნამდვილი აღმოჩენა იყო ქართული მოდები.

გამოფენის ყურადღების ცენტრშია საქართველოს სახალხო მხატვრის ი. ოჩიაურის შემოქმედება, რომლის მეოხებითაც მნახველები იცნობიან ქართულ ოქრომჭედლობას.

შუა დარბაზში ქართული ვაზის გვირგვინი ბრწყინავს, როგორც მშვიდობის, სიყვარულის და სიკეთის სიმბოლო.

საბჭოთა საქართველოს ექსპოზიცია ჩვენული ოსტატობით და სისადავით გააფორმა სსრკ სახალხო მხატვარმა ზ. წერეთელმა. რთულ სამონტაჟო სამუშაოებს წარმატებით გაართვეს თავი ს. ნიკარაძემ და ა. ბურკულაძემ.

ესპანეთის პრესა და ტელევიზია ფართოდ გამოეხმაურა გამოფენას.

გამოფენა გრძელდება.

დ. მაჭავარიანი,
ჟ. მოსკოვი.

დახმარება გვიანდება

ეს მწვავე სიგნალი გაისმა ამომრჩევლებთან შეხვედრაზე

„მძლავრმა ციკლონმა, რომელიც თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს, უბედურების რაიონებში არ დატოვა ელექტროგადამცემი ხაზის არც ერთი მთელი ბოძი...“ — რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებულ საქინფორმის ამ საგანგაშო ცნობით დაიწყო თავისი შეხვედრა ამომრჩევლებთან დურსუნ კალანდაროვმა. ინფორმაციას უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა „საქსოფელელექტროშენის“ ტრესტის მარნეულის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის მუშაობასთან და იმ პრობლემასთან, რომელიც კოლექტივის განსახილველად წამოაყენა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა.

— რესპუბლიკაში მხოლოდ ჩვენი ქარხანა უშვებს ელექტროგადამცემი ხაზის ბოძებს, — თქვა მან — და ამიტომაც განსაკუთრებით გვაწუხებს ის ფაქტი, რომ საწარმოს მისასვლელ გზებზე დღის დაგვიანდა 4,5 ათასი კუბური მეტრი მზა პროდუქცია. მას მოუთმენლად ელიან დაზარალებულ რაიონებში, გაგზავნა კი ყოვნდება ვაგონების უქონლობის გამო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს პრობლემა ახალი როდია. მაგრამ წინათ მისი გადაწყვეტის ძიება წარმოებდა მხოლოდ ადმინისტრაციის დონეზე. საჯაროობის გაკვეთილებმა ამოაჩქიდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპი, როგორიცაა: არჩევის უფლება — ეს არის მოვალეობა იმოქმედონ. კი არ. ვალოდოთ მითითებებსა და რეკომენდაციებს, არამედ ვიმოქმედოთ კოლექტიურად, საერთო ძალით. მიმართა რა ამისათვის თავის ამომრჩეველებს, დეპუტატობის კანდიდატმა ამით დაადასტურა საზოგადოებრივი აზრის გაზრდილი ავტორიტეტი.

ჯერ კიდევ ზამთარში, სტიქიის პირველი შემტვრევისთანავე, ქარხნის მუშაკებმა საერთო კრებაზე გადაწყვიტეს გაეზარდათ ნაწარმის გამოშვება, დაეჩქარებინათ საწარმოს ორცალიან სამუშაოზე მთლიანი გადასვლა. მაგრამ სად უნდა წაეღოთ ზეგეგმითი პროდუქცია, თუ საგეგმო პროდუქციის გატანაც კი არ შეეძლოთ? წლის დამდეგიდან საწარმომ ვერ მიიღო კუთვნილი რკინიგზის ვაგონებისაგან ყოველი მესამე.

— მდგომარეობა იმითაც რთულდება, — თქვა ქარხნის დირექტორმა ერმილე ქობულაძემ, — რომ არა გვაქვს საჭირო სასწყობო შენობები. იძულებული ვართ მზა პროდუქცია უსიფრთხოების ტექნიკის გარღვევით პირდაპირ ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშ, წვიმაში დავაწყოთ, იმის მიუხედავად, რომ მაისიდან ჩვენთან შემოღებულია სახმღება. ბრკოლდება არა მარტო ძირითადი სამუშაო, არამედ საწარმოში მიმდინარე რეკონსტრუქციაც.

ადმინისტრაციასთან ერთად განგაში ატეხა ქარხნის დეპუტატთა ჯგუფმაც, მათ შორის დ. კალანდაროვმაც, რომელიც კოლექტივმა საქალაქო საბჭოში უკვე მეორედ დაასახელა. მიმართეს ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს, ტრესტს, დარგობრივ სამინისტროს და, რა თქმა უნდა, რკინიგზის ხელმძღვანელობასაც. ყველაზე ქმედითი აღმოჩნდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ვ. ბერიძე — მისი ხელშეწყობით მაისში სულ რამდენიმე დღეში საწარმომ მიიღო 47 ვაგონი, მაგრამ ეს მხოლოდ ხერელების ამოვსებაა და არა მუშაობის სტაბილიზაცია.

როგორია უნდა მოვიქცეთ მოგავალში? მართლაც და ხომ არ შეიძლება რომ პარტიული ორგანოები გადავიქცეთ მომმართველებად, სასწრაფო დახმარებად?! ყველას თავისი მოვალეობა აქვს და საკუთარი პასუხისმგებლობა აკისრია.

ამიტომაც წინასაარჩევნო კრებაზე კოლექტივმა გადაწყვიტა პრესის საშუალებით მიემართა ვაგონების მიწოდებისათვის პასუხისმგებელი ამხანაგებისათვის და ეკითხა: როდემდე დაბრკოლდება დაზარალებული რაიონებისათვის დახმარება?

თურმე, კოლეგები — ჟურნალისტები, წინათაც დაინტერესებულან ამ რთული სიტუაციით. ამიერიკაელასთან ჩკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსთან ჩვენი მისვლა დაემთხვა გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ მასალას. ეტყობა, ამიტომაც ნუგზარ ჭრუმიძე ზღურბლთანვე თვითკრიტიკული აღიარებით შეგვხვდა: „დამნაშავეა რკინიგზაო“.

რა თქმა უნდა, საქმისათვის ძალზე მნიშვნელოვანია კონკრეტული დამნაშავის მოძებნა, მაგრამ გაცილებით არსებითია გამოვავლინოთ ხარვეზების კონკრეტული მიზეზები, რათა დროულად აღმოვფხვრათ ისინი. ამ სურვილს ხალისით გამოეხმაურნენ თვით რკინიგზელებიც: მარნეულში სასწრაფოდ გაგზავნეს კომისია. მაგრამ საუბარი მისი ანგარიშის შესახებ გვინდა დავიწყოთ იმ მონაცემებით, რომლებსაც უშუალო დამოკიდებულება აქვთ თვით ქარხნის მუშაობასთან.

მაშ ასე, საწარმოს მიზეზით ვაგონების საშუალო სადღეღამისო მოცდენამ წლის დამდეგიდან ორჯერ და მეტად გადააჭარბა ნორმას. შესაძლოა, ძნელია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისაგან ველოდოთ საგფთიაქო სიზუსტეს, მაგრამ ასეთი უგერგილობის დაშვებაც არ შეიძლება. ვაგონებზე ზრუნვა ზომ ტრანსპორტის მუშაობის საკვანძო მაჩვენებელია, რაზედაც საყვედურს აცხადებს ქარხნის ნაწარმის ქარხნის კოლექტივი. და მეორეც, „ტარის“ უკმარისობამ თითქოსდა უნდა გამოიწვიოს არსებულის მაქსიმალური დატვირთვა. მაგრამ სამაგრი მასალების და ხეტყის უქონლობის გამო (უიმათოდ კი ვერ ავამაღლებთ ბორტებს) ვაგონების ტვირთამწეობას საწარმო ფაქტობრივად მხოლოდ სანახევროდ იყენებს.

კოლექტივი გვიმტკიცებს რა თავის სიმართლეს, არ უნდა გაჩუმებულიყო საქმის ამ მხარეზეც. გარდაქმნის პირველი ცნება ზომ გვეუბნება, რომ მოთხოვნა უფრო ნარეს ყოველისა საკუთარი თავით უნდა დაიწყო.

ვიყოთ ობიექტურნი. ტრანსპორტელები განზრახ როდი აყოვნებენ ტვირთის გატარებას. ბევრს წერენ და ლაპარაკობენ მათ პრობლემებზე, კერძოდ გზების შეზღუდულ გამტარუნარიანობაზე. ქვეყანაში ერთ-ერთ უძველეს ამიერკავკასიის მაგისტრალზე ეს გამწვავებულია სასადგურო მეურნეობის განვითარებაში ჩამორჩენითაც. ამაშია პარადოქსული სიტუაციის ერთ-ერთი მიზეზიც: ვაგონები ნორმალურად სამყოფია, მაგრამ რკინიგზელებს ყველა მხრიდან „ურტყამენ“ სწორედ მათი მიუწოდებლობისათვის.

როგორ შეეფუბამთ ერთმანეთს მოთხოვნილება და შესაძლებლობა? ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში რკინიგზაზე ცნობილი ანდაზის მიხედვით მოიჭცნენ: მოძებნეს შეისრე და დაავალეს საქმის გამოსწორება. ამასთან, როდესაც მიზანი დაუსახეს, არ იზრუნეს მისი მიღწევის საშუალებებისათვის. გაიმარჯვა ადმინისტრაციულმა მიდგომამ — მაჩვენებლების მიღწევა, რადაც უნდა დაუჯდეთ.

მარნეულის სადგურის სხვადასხვა ინსტანციაში ჩვენი სამი დღის სიარულის დროს არ მიუღიათ არც ერთი ზედმეტი ვაგონი, უფრო მეტიც, წინა დღეებიდან დეფიციტიც კი დარჩა. იმის მიუხედავად რკინაბეტონის ქარხანას გაუგზავნეს გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ორჯერ მეტი ვაგონი. საიდან? საქმეში ჩაუხედავი კაცისთვისაც გასაგებია, რომ ეს მოხდა სხვა მიიღებთა ხარჯზე! საკუთრივ, თავის დროზე თვითონაც ზომ დაზარალდა ადგილობრივი კარიერის მიწოდებისათვის „გადიდებული ყურადღების“ ამავე მიზეზით?

დროებითი ღონისძიება გვეხმარება საგანგებო შემთხვევებში. რკინა-ბეტონის ქარხნის ნაწარმი სასწრაფოდ სჭირდებათ დასავლეთ საქართველოს რაიონებს, და კარგია, რომ მიიღებენ კიდეც. მაგრამ, დაგვეთანხმებთან, ეს პრობლემის კარდინალური გადაწყვეტა როდია. და რამდენადაც მარნეულში მარტო ერთი რკინაბეტონის ქარხანა არ არის, კიდევ ზომ არ მოგვიწევს ჩვენ ან ჩვენს კოლეგებს, უახლოეს ხანში „დავეხმაროთ“ სხვა საწარმოსაც?

ა. მურადელი,
ი. სუდაკოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აბხ. ვიაჩესლავ ვასილის ძე **ბახირევი** გაათავისუფლა სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის მინისტრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

8 ივნისი ● საკრედსი იუწყება

უკსოეფეზი

ფაქტები • მოვლენები

თანამშრომლობის განმტკიცების გზით

ბუდაპეშტი. სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მრავალმხრივი თანამშრომლობის მთავარი ამოცანაა მსოფლიო მეცნიერების განვითარების ტენდენციების ანალიზი და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის 2.000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის შემდგომი სრულყოფის წინადადებათა შემუშავება. ეს ხაზგასმულია კომუნიკეში სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტთა ბუდაპეშტში დამთავრებული თათბირის მუშაობის შედეგების შესახებ.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული გააერთიანონ სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების მეცადინეობა 2.000 წლამდე პერიოდისათვის გათვალისწინებული ახალი დიდი პროექტების ერთობლივი შემუშავებისათვის. ხაზგასმულია, რომ საამისოდ უნდა გამოიყენონ თანამშრომლობის არა მარტო ნაცადი ტრადიციული ფორმები, არამედ განავრცონ კიდეც ურთიერთშემქედების ეფექტიანობის გაზრდისათვის გამიზნული ახალი გზების ძიება.

სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებს, აღნიშნულია დოკუმენტში, უაღრესად საჭიროდ მიჩნეთ შეეკავშირდნენ და ერთად იმოქმედონ არა მარტო მეცნიერული თანამშრომლობისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, არამედ ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეშიც.

დელეგაციების ხელმძღვანელები მიიღო უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა ი. კადარმა.

მხარს უჭერენ განიარაღებას

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მხარს უჭერენ ბირთვული იარაღისა და სხვა მასობრივი მოსპობის საშუალებათა რადიკალურ შემცირებასა და სრულ ლიკვიდაციას, კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების გადატანის თავიდან აცილებას. ეს ნათქვამია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მოვალეობის შემსრულებლის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯაო ძიანის ოფიციალური ვიზიტის შედეგების შესახებ აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

ვიზიტის დროს, ნათქვამია კომუნიკეში, გაიმართა ჯაო ძიანისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ი. იარუზელსკისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზ. მესნერის მოლაპარაკება.

განხილეს რა საკვანძო საერთაშორისო პრობლემები, მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ყველა სახელმწიფოს ხალხების წინაშე დასახული ეგზიტენციალური ამოცანაა გამალებული შეიარაღების შეკავება და პლანეტაზე მშვიდობის შენარჩუნება. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მაღალ შეფასებას აძლევენ და იზიარებენ იდეას, რომ შეიქმნას მშვიდობის ზონა და უბრთვო ზონები ზოგიერთ რეგიონში დაინტერესებული ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევითა და კონსულტაციებისა და ნებაყოფლობითი მორიგებათა გზით. პოლონეთის მხარემ ჩინეთის მხარის ყურადღება მიიპყრო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ ამასწინათ წამოყენებულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ცენტრალურ ევროპაში შეიარაღების შემცირებასა და ნდობის განმტკიცებას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ შეაფასეს ბ. ბუშის ოფიციალური ვიზიტი ამ ქვეყნებში. ორივე ეს ქვეყანა ეფიქრობს, ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ურთიერთობების ფართოდ განვითარებას ამ ქვეყნებსა და აშშ-ს შორის.

ფოტოინფორმაცია

ადამიანის საკეთილდღეოდ ატომური ენერგიის მშვიდობიან გამოყენებაზე მუშაობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის როსენდორფის (დრეზდენის ოლქი) ბირთვული ფიზიკის ცენტრალური ინსტიტუტი, რომელიც ამ ოცდაათიოდე წლის წინათ შეიქმნა. მედიკოსებისა და ბიოლოგებისათვის სხვადასხვა კვლევაში, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს აქ დამზადებულ ფარმაკოლოგიურ საშუალებებს.

ადნ-საადესის ფოტო.

წინგადადგმული ნაბიჯი

ლისაბონი. პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ალვარო კუნიალმა დიდი შეფასება მისცა საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხორციელდება.

სსრ კავშირის ახლანდელი პოლიტიკური კურსი, განაცხადა მან გაზეთ „დიარიუ დი ლიბუსათავის“ მიცემულ ინტერვიუში, ნიშნავს ახალ წინგადადგმულ ნაბიჯს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ გახსნილ გზაზე, რომელიც მოასწავებდა მსოფლიოში პირველ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დაბადებას. ეს პოლიტიკა, თქვა ა. კუნიალმა, შესაძლებლობას გვაძლევს გამოვნახოთ პრობლემათა ახალი ეფექტიანი გადაწყვეტები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დროს.

ჩვენი აზრით, ხაზგასმით აღნიშნა პორტუგალიელ კომუნისტთა ხელმძღვანელმა, პრაქტიკაში მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების შემოქმედებითი გამოყენება, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და დემოკრატიის გაფართოება, მეტად დადებით

3. ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲙᲔᲗᲔ

ᲐᲛᲠᲘᲒᲐᲓ, რაც უფრო დიდხანს იშრომებ, მით უფრო დიდხანს იცოცხლებ, რამეთუ, ძველ რომაელთა ნათქვამი ოდნავ რომ შეეცვალოთ, შრომა სიცოცხლეა. აი რატომ არის, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომაში პენსიონერთა ჩაბმას. ეს უწმინარიესად მათთვის არის საჭირო. ეს საჭიროა საზოგადოებისათვის, რადგან იგი დაინტერესებულია მთლიანად გამოიყენოს შრომის ვეტერანთა დიდი გამოცდილება, მათი ავტორიტეტი და აღმზრდელობითი მაგალითი ახალგაზრდობისათვის. სოციალური გამოკვლევების თანახმად, მაქსიმალური შრომის ნაყოფიერება და ყველაზე ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი იმ კოლექტივებში შეიმჩნევა, სადაც პენსიონერები 20—25 პროცენტს შეადგენენ. ამასთანავე წყდება მუშახელის პრობლემაც, რომლის ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში იგრძნობა: წარმოებაში მოდიან ომისდროინდელი თაობის შვილიშვილები, რომლებიც ყველაზე მცირერიცხოვანი არიან. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ასეთი მეზარე გამოძახილი აქვს გასულ ომს. შრომითი რესურსების ბუნებრივი მატების დაქვეითება თითქმის 90-იანი წლების შუა ხანებამდე გაგრძელდება. მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას: საკითხი ის კი არ არის, რომ დროებით ავიზნაზეაოთრთ მუშახელის ნაკლებობა. საქმე იხება ვეტერანთა როლისა და მნიშვნელობისადმი თვისებრივად ახალ მიდგომას, როგორც საერთოდ საზოგადოებაში, ისე ყოველ შრომითს კოლექტივში.

— ჩვენ ყოველწლიურად ვთხოვთ შეავსონ ანკეტა მუშაკებმა, რომლებიც, როგორც იტყვიან, საეჭვოდ ემზადებიან, — გვეუბნება დნეპროპეტროვსკის „დნეპრსაბურავის“ ქარხნის დირექტორი ვლადიმერ კუზნეცოვი — ასოდან 85 გვიპასუხებს, რომ სურს განაგრძოს მუშაობა. რამდენადაც ვიცი, დაახლოებით ასეთივე სურათია მეტალურგიულ საწარმოებში. რატომ არ სურთ ამ ადამიანებს დაისვენონ? იმიტომ, რომ ყოველნაირად ვცდილობთ შევინარჩუნოთ ისინი. ჩვენ შევნიშნეთ, რომ პენსიაზე გასულის უკან დაბრუნება გაცილებით ძნელია, ამიტომ ინდივიდუალურად ვმუშაობთ, ყველას ვიცნობთ, ვინც საპენსიო ასაკს მიაღწევს 1990 წლამდე. მე პირადად ვესაუბრები ხოლმე ყოველ მათგანს. ზოგს ძველ ადგილს დარჩენა სურს, ზოგი შედარებით იოლ სამუშაოს მოითხოვს, გამოკითხულთა სამი მეხუთედი არასრული სამუშაო კვირის მომხრეა, ნაწილი — არასრული სამუშაო დღისა. და ჩვენც ვცდილობთ შეძლებისდაგვარად დავაკმაყოფილოთ მათი სურვილი.

დნეპროპეტროვსკი ჩვენს ქვეყანაში შრომაში პენსიონერთა ჩაბმის პიონერად ითვლება. აქ უკვე დიდი გამოცდილება შეიძინეს. და ამიტომ საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა ამ ორი წლის წინათ დნეპროპეტროვსკის საწარმოთა ბაზაზე საკავშირო სემინარი მოაწყვეს პენსიონერთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის პრობლემებზე. სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომში და ყველა საქალაქო საბჭოს აღმასკომში შექმნილია საპენსიო ასაკის მოსახლეობის საქმეთა კომისიები. მათი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ისეთ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ წამყვან დარგებში ვეტერანთა ადგილების შენარჩუნებას; ყველა საწარმოში შეიქმნა პენსიაზე გასასვლელად სამედიცინო-სოციალური მომზადების კომისიები.

— ვეტერანთა შრომა უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის ზრუნვასთან, — გვეუბნება ნიჟნედნეპროვსკის კ. ლიბკნეხტის სახელობის მილსადენთა ქარხნის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე პეტრე პალიარუში. იგი 85 წლისაა. წინათ მთავარ ბუღალტრად მუშაობდა ქარხანაში. ამხანაგებმა ქარხნის პროფკავშირულ კომიტეტში აირჩიეს და ამრიგად მას შეუძლია აქტიურად დაიცვას თანატოლების ინტერესები — ჩვენთან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპენსიო ასაკის პირთა პროფორიენტაციას, — განაგრძობს პალიარუში. — ვთქვათ, კაცი საპენსიოდ ემზადება, ცხელ სამუშაოში მუშაობს და სურს დაისვენოს, მისთვის შესაფერის საქმეს გამოვნახავთ ხოლმე, და თუ საჭიროა, ახალ პროფესიასაც ვასწავლით. მთავარია, კაცი გრძნობდეს, რომ კოლექტივს სჭირდება, რომ მას პატივს სცემენ, მისთვის ზრუნავენ.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს განსაზღვროს და მომზადდეს სამუშაო ადგილები, სადაც ხანდაზმული ადამიანი რაც შეიძლება ნაყოფიერად იშრომებს თავისი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლად. ამის საშუალებას იძლევა სამუშაო ადგილების ატესტაციისა და რაციონალიზაციის სისტემა, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია წარმატებით იყენებენ დნეპროპეტროვსკის საწარმოებში. ატესტაციის დროს თითოეულ სამუშაო ადგილს მარტო ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიური კრიტერიუმის მიხედვით კი არ აფასებენ, არამედ აუცილებლად სოციალური თვალსაზრისითაც, შრომის პირობების შესაბამისად. ამის საფუძველზე ხდება მოდერნიზაცია და იმ ვეტერანთა მუშაობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომლებიც ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსენი არიან ან დაქვეითებული აქვთ შრომის უნარი.

პენსიონერებს იზიდავს სამედიცინო მომსახურების მაღალი დონეც. იმავე ლიბკნეხტის სახელობის ქარხანაში ყოველ საამქროშია გამაჯანსაღებელი კომპლექსი, აქვთ პოლიკლინიკა, ფსიქოლოგიური განტვირთვის კომპლექსი, მუშათა პროფილაქტიუმი და საკურთო აუზი. პოლიკლინიკაში ხანდაზმულებს იღებს გერიატრი ექიმი.

— უმუშევრად ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, — გვითხრა მვალცავმა, შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა ლეონიდე ვედომსკიმ. აი, უკვე 40 წელია იგი № 1 მილსაგლინავი საამქროს მართვის პულტთან დგას. რატომ ვერ შელევია თავის სამუშაო ადგილს? დიდი ფულის გამო? იგი თავის კოლეგებზე ორჯერ მეტს იღებს, რომლებსაც ჯერ საპენსიო ასაკისთვის არ მიუღწევიათ.

— რა თქმა უნდა, ფულიც კარგი რამაა, — ხუმრობს ვედომსკი. — არ მოგჭარბდება, განსაკუთრებით როცა შვილიშვილების მთელი ჯოგი გახვევია — და ბელიანად გაეცინა. — მაგრამ იმასაც ვეტყვით, ფულის მთას ვერ დადგამ. თავგარია სულს უხაროდეს. ზოგმა ბაღი გაიშენა, ერთობა. ერთი ჩემი მეგობარი გუნდში ჩაეწერა, ყოველდღე კლუბში იკარგება. ღმერთმა შეარგოს! მე კი საამქროს ვერ შეველიე. მიხარია აქ ყოფნა. — მან საგანგებოდ წარმოთქვა სიტყვა „აქ“.

— აქ პატივცემულ კაცად ვგრძნობ თავს: საზეიმო კრებების დროს პრეზიდიუმში ვზიავარ, დემონსტრაციის დროს კი პირველ რიგში მივდივარ. დირექტორი მეთობირება, პროფკომი და პარტკომიც ანგარიშს უწევენ ჩემს აზრს. აი, თქვენ ამბობთ, ჯანმრთელობაო. ხანდახან გამეღვიძება და ადგომის თავი არა მაქვს. მაგრამ საჭიროა. პენსიაზე რომ ვიყო, ჩემთვის ვიწვებოდი, ახლა კი სამუშაო არ მაცლის. თავს ძალას დავატან, ავდგები, შუადღისთვის კი უკვე მხნედ ვგრძნობ თავს. სახამ ფეხზე ვდგავარ, სამუშაოს არ მივატოვებ. ხეები ზეზეურად კვდებიან — ასე ვუპასუხებ ხოლმე, როცა მეკითხებიან, სამუშაოს მიტოვებას ხომ არ აპირებო.

ვეტერანებისადმი ყურადღება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში საყადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა, თავის ნაყოფს იძლევა. ამკამად სახალხო მეურნეობაში 15 მილიონზე მეტი პენსიონერი მუშაობს. ფართოდ ვრცელდება საამქროები და უბნები, სადაც მარტო ხანდაზმულნი მუშაობენ. იქ შედარებით იოლი სამუშაოა, სხვადაგარი რეჟიმი, ნაკლები ნორმები. მაგალითად, მოსკოვში ორმოცდაათამდე ასეთი სპეციალიზებული საწარმოა, სადაც წელიწადში თითქმის 100 მილიონი მანეთის პროდუქციას ამზადებენ. სკკპ XXVII ყრილობაზე ითქვა, კარგი პერსპექტივები აქვსო პენსიონერთა შრომის საქმიანობას როგორც კოოპერაციულ, ისე პირად, ოჯახურ საფუძველზე: მომსახურების, ვაჭრობის, სახალხო მოხმარების საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების სფეროში. ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის კანონის მიღებასთან დაკავშირებით ეს მითითებანი კონკრეტულ ორგანიზაციულ ფორმებს იძენს. პენსიონერებს საშუალება აქვთ თავიანთი ენერგია, ცოდნა და უნარი გამოიყენონ საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, ხალხურ რეწვაში, ფერთო შესაძლებლობანი იქმნება იმისათვის, რომ შრომაში ჩაბან მუშახელზე მოთხოვნის სეზონური გაზრდის პერიოდში, კვირაობით და საღამოს საათებში.

როცა ვეტერანთა შრომითი დასაქმების შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება პრობლემა მარტოოდენ მათი მატერიალური დაინტერესების თვალსაზრისით განვიხილოთ, ალბათ, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მათი ცხოვრება შინაარსიანი, მრავალფეროვანი ხდება, რომ ისინი კვლავ გრძნობენ თავიანთ სოციალურ საჭიროებას, კვლავაც აქტიურ როლს ასრულებენ ცხოვრებაში. საზოგადოების მორალური სიჯანსაღისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხანდაზმული ადამიანი თავს ზედმეტ ბარგად არ თვლიდეს, რომელიც თავისი არსებობით ტვირთად აწევს ახლობლებს.

ახლანდელ პირობებში, როცა საბჭოთა საზოგადოების გაჯანსაღების პროცესი მიმდინარეობს, როცა ჩვენი დევიზი გახდა —მეტი სოციალიზმი, მაშასადამე მეტი ჰუმანიზმი, — მოხუცებულთათვის ზრუნვა, ვეტერანებისადმი პატივისცემა სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი ხდება. კაცს, რომელმაც სიყრმიდანვე შეისისხლხორცა კოლექტივიზმი, მოხუცებულობაშიც უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ხორცი შეასხას თავის მისწრაფებებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. და აქ ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციას, მის შესაბამის კომისიებს, როგორც დამფუძნებელ კონფერენციაზე აღინიშნა, შეუძლიათ უადრესად აქტიური როლი შეასრულონ. თითოეული ადამიანის შრომითი და სულიერი პოტენციალი მთლიანად უნდა ემსახურებოდეს სამშობლოს — ასე სვამს საკითხს პარტია, რადგან საზოგადოების სრულფასოვანი სულიერი ცხოვრება წარმოუდგენელია, თუ საკითხი მარტოოდენ რაციონალისტურად გადავწყვიტეთ: აჰა, პენსია, დანარჩენი კი შენი საქმეაო. ახალგაზრდა თაობების მთელ საქმიანობას იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი განაგრძობს იმას, რაც წინა თაობებმა წამოიწყეს. მარტო იმას, ვინც ბევრი რამ ნახა და ფიქრა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, შეუძლია დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას იმ საქმეში, რომ გაერკვეს დღევანდელ ვითარებაში და იაროს წინ. განათლებას მარტოოდენ სკოლა და წიგნი არ იძლევა. იგი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგიც არის. შეიძლება სწორედ ეს იყოს ჩვენი ვეტერანების დიდმნიშვნელოვანი წვლილი: ეს ხალხი თავისი ყოფნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით ამდიდრებს გარემომცველთა ცხოვრებას. ისევე როგორც გარემომცველნი ამდიდრებენ მის ცხოვრებას.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲫᲐᲯᲘᲐᲘᲐ.

ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). მრავალფეროვანი და ყოველმხრივ მდიდარია საფესტივალო აფიშა.

ასე იყო, მაგალითად, 4 ივნისს, ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. ფესტივალის მონაწილეებმა წარმოადგინეს ბახის „ამადის გალელი“ (ოპერა საკონცერტო შესრულებით).

ოპერაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული კამერული ორკესტრი და თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის გუნდი. ოპერას ჩვენი ოსტატობით უდირიჟორა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატმა ლიანა ისაკაძემ, ცალკეული პარტიები შეასრულეს ი. პეტერსონმა, მ. დავითაშვილმა, მ. მაღლაფერიძემ, ა. სოფულინმა.

ჩვენთან საუბარში რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ლიანა ისაკაძემ თქვა:

— ჩემთვის ყოველთვის დიდი ბედნიერებაა ქუთაისში გამოსვლა, ვინაიდან ეს ქალაქი ძალიან მიყვარს, მიყვარს იმიტომ, რომ ეს არის ერთ-ერთი ქალაქი, რომელიც მთლიანად ინარჩუნებს ქართულ ტრადიციებს, ქართულ სულს, სილამაზეს. მეორეც, ქუთაისი ძალზე მუსიკალური ქალაქია და აქ მე ბევრი მეგობარი მყავს. იდრეც ხშირად ვყოფილვარ ქუთაისში, მაგრამ ახლა, რასაკვირველია, განსაკუთრებული შემთხვევაა, როცა აქ ეწყობა ისეთი უნიკალური და შესანიშნავი ფესტივალი, როგორიც საოპერო მუსიკის ფესტივალია. მასში მონაწილეობა ჩემთვის დიდი პატივია.

ჩვენ აქ წარმოვადგენეთ იოჰან ქრისტიან ბახის ოპერა „ამადის გალელი“, რომელიც მხოლოდ ერთხელ შევასრულეთ ლენინგრადში ორი თვის წინათ. ეს იყო პირველი შესრულება ამ ურთულესი ოპერისა საბჭოთა კავშირში.

საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ შესანიშნავი იდეაა ქუთაისში ფესტივალის მოწყობა. მე პირადად დიდი იმედი მაქვს, რომ ბოლოს ეს ფესტივალი გახდება საერთაშორისო.

5 ივნისს ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი თეატრის სოლისტის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის იური მაზურიკის სოლო კონცერტი, რომელიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

ქუთაისელები ყველგან გულთბილად და სიყვარულით ხვდებიან ფესტივალის მონაწილეებს. არც სტუმრები რჩებიან ვალში— მასპინძლები მოხიბლული არიან მათი საშემსრულებლო ოსტატობით.

საოპერო თეატრის სცენაზე გაიმართა შესანიშნავი ქართველი მომღერლის, ბარსელონას ვოკალისტთა საერთაშორისო ლაურეატის მაია თომაძის კონცერტი. პირველ განყოფილებაში მომღერალმა შეასრულა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, მათ შორის ეთერის არია ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“; მეორე განყოფილება დაეთმო დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, როიალის პარტიას ასრულებდა ნინო ჭანტურიშვილი. იმავე დღეს, საღამოს, საოპერო თეატრის სცენაზე წარმოადგინეს ო. თაქთაქიშვილის „მინდია“, რომელშიც მთავარი როლი შეასრულა ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ვ. კუბლაშვილმა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტები ე. გეწაძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. მაღლაფერიძე. სპექტაკლს დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. ვოშჩაკი.

ფესტივალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით საქართველოს დამსახურებული კამერული ორკესტრის გასვლითი კონცერტი წყალტუბოში, სადაც შესრულდა ვივალდისა და ბრაამსის ნაწარმოებები.

ქუთაისი დიდი ინტერესით ელოდა ვერდის ოპერა „ტრუბადურთან“ შეხვედრას. ადგილობრივ დასთან ერთად ამ ოპერაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები ცისანა ტატიშვილი და ჰენრიკ კრუუმი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ელდარ გეწაძე და დიდი თეატრის სოლისტი ტატიანა ტერენტიევა.

ოპერას დირიჟორობდა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოდისეი დიმიტრიადი.

** Დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ.**

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲐᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲓᲔᲚᲐᲓ



ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ იყო ამხანაგების დაღვრილი სისხლი ენახა, რომ ბოლოს და ბოლოს მტრის არსებობა დაჯერებინა. მტრისა, რომელიც ავტომატის სამიზნიდან უყურებდა და ხელსაყრელ მომენტს ეძებდა თავდასასხმელად. მანამდე ბიუს ვერც კი წარმოედგინა, რომ შეიძლებოდა ადამიანს ადამიანისათვის ესროლა.

„...დედა, წყლის საზიდ მანქანაზე ვმუშაობ. გუშინ ღამით საბრძოლო დავალების შესასრულებლად წავედით. იცი, აქ რა მთებია, რაღაცით ჩემს აწყურის მთებს მაგონებს. მალე წყალი გამოგველია და უახლოეს ყიშლაღში წავედი. ჭიდან წყალს რომ ვიღებდი, სამი ჯარისკაცი მიცავდა. ის იყო, მანქანა დავქოქე, რომ დუშმანები თავს დაგვესხნენ. ცალ ხელში ავტომატი მეჭირა, ცალით საჭეს ვიყავი ჩაფრენილი. გავასწარი სამშვიდობოს“, — სწერდა ზაქრო მოსიძე თავის პირველ ბარათში დედას.

შვილის ამბის მოლოდინში ლენას და დურმიშხანს ბევრი თეთრად გათენებული ღამე ახსოვთ. იცოდნენ, რა ქარცეცხლიც ტრიალებდა იქ, შორეულ ავღანეთში და რა დაამშვიდებდათ.

„ურალ-375“-ის ძმლოლი ერთი წუთით არ ისვენებდა, ამარაგებდა ქვედანაყოფს. არც საბრძოლო იარაღი უნდა მოკლებოდათ და არც სურსათ-სანოვაგე. ისე არ დაღამდებოდა, ჯზაზე დუშმანებს არ გადაყოდა. ბოლოს ისე შეეჩვია, ინტუიციით გრძნობდა მათს მოახლოებას, ჩამოხტებოდა მანქანადან და ისროდა. როცა ყველაფერი მიწყნარდებოდა, ამხანაგებს მოიკითხავდა და სწრაფად მიაქროლებდა მანქანას. სისხლის დანაბეა სულს უმღვრევდა, განწყობილებას უფუჭებდა ჭაბუკს...

ახსოვს, იმ ღამეს დიდხანს ვეღარ დაიძინა. თვალწინ ედგა შიმშილით მუცელდასიებული ბავშვები, გატანჯული ქალები და მოხუცები, აფეთქებული სკოლები და საავადმყოფოები. აქამდე კინოში თუ ენახა მსგავსი რამ და როცა უკანასკნელი ორცხობილას ნაჭერიც გაუნაწილა ბავშვებს, თავი ვეღარ შეიკავა და ცრემლები წამოსცვივდა.

იმ ჭაბუკებს, იქ, ავღანეთში რომ მსახურობენ, აქვთ ის, რაც, სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენგანის შეგნებაში გვიან შემოდის.

— წარმოიდგინეთ, ავღანეთში სხვანაირად იწყენ იმის შეფასებასაც, რაც თითქმის ყოველთვის იყო შეთვის მისაწვდომი. ფიღოთ თუნდაც პური... იგი ახლა ჩემთვის სულ ახლებური ცნებაა, ვიღრე ავღანეთამდე იყო. იქ გავიგე პურის ფასი, მისთვის იქ სიცოცხლეს სწირავდნენ ბიუები, როცა ყველაზე შორეულ ყიშლაღში მიჰქონდათ პური და პროდუქტები. აქ კი, ქალაქში, ზოგჯერ როგორ უყაირათოდ ექცევიან პურს, ხან იქ, ხან აქ დაგდებულს რომ ვხედავ, გული მეკუმშება ხოლმე....

ალბათ არასოდეს დაავიწყდება 1982 წლის 3 დეკემბერი. მაშინ დაკარგა ყველაზე ახლობელი მეგობარი. ჯუმბერ წიკლაურიც მესხი იყო, ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავიდან. ისიც მძღოლი. ყველა ოპერაციის მერე პირველ რიგში ერთმანეთს მოიკითხავდნენ ხოლმე. — ცოცხალი ხარ ბიჭოო? — ისე შესძახებდნენ, რომ მთელმა ნაწილმა ისწავლა ეს სამი სიტყვა, და რუსი იყო თუ უკრაინელი, სომეხი თუ თათარი, ამ სიტყვებით ესალმებოდნენ ხოლმე ერთმანეთს.

— მოსწავლეთა ზაფხულის არდადეგების გამო. სატელევიზიო სპორტული კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ოქროსრაშიანი მხედარი“. 10.55 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე“ (განმეორებით). 15.05 — საინფორმაციო გამოშვება. 15.20 — ქართული ენის ტელეკურსი. 15.50 — კინოჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“. 16.00 — აბიტურიენტთათვის. ქიმია. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.50 — შვეისწავლოთ ინგლისური ენა. 17.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეს ჩემი სიმღერაა“. 17.35 — „ხელოვნების ლექტორიუმი“ (განმეორებით). 18.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. სატელევიზიო მუსიკალური ფილმების ფესტივალი. ფილმ-კონცერტი „მთავარი დირიჟორი ერიკ კლოსი“ (ესტონეთის ტელევიზიის ნაწარმოები). 18.45 — „ჩვენი ბაღი“ (კოლექტიური მებაღეობის წევრთა დასახმარებლად). 19.05 — განცხადებები. 19.10 — „ამაგდარი“. შოთა იაშვილი. 19.45 — — დღეს მსოფლიოში. 20.00 — მოამბე. 20.35 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.55 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. „მეგობრების გამოცდილება“ (მეორეული ნედლეულის გამოყენების გამოცდილება ბელორუსიის საწარმოებში). 21.25 — „ადამიანი და კანონი“. „სიკეთილის ვაჭრები“. (განმეორებით). 21.55 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „გვიანი ალუბლები“. 0.20 — ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში. რეპორტაჟი საბერძნეთიდან.

მეორე პროგრამა. 15.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ცხოველები უპასუხებენ“. 17.00 — განცხადებები. 17.05 — მხატვრული ფილმი „წვეთი“. 18.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფოთის ექსპერიმენტი“.

9 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-ჟუანი (მე-13 აბონემენტის მერე) წარმოდგენა); მეტეხის — პარტახი, უბედურება.

ᲯᲔᲛᲐᲚ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ



ვნენ მ. იუსევი (57 კგ) და გ. პეტროვი (90 კგ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ევროპის ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილი.

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ცნობა მოვიდა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიიდან. აქ დამთავრებულ სამბისტთა ევროპის ჩემპიონატზე საუცხოოდ იასპარეზა თბილისელმა ჯემალ მჭედლიშვილმა, მან 82 კილოგრამამდე წონითს კატეგორიაში ტოლი არავის დაუდო და ევროპის ჩემპიონის წოდებას დაეუფლა. ევროპის წლევანდელ ჩემპიონატებზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მართლაც ჩინებულად გამოდიან. სოფიაში მოპოვებულ წარმატებამდე ხომ საქართველოს კიდევ სამმა სპორტსმენმა დაისაკუთრა ევროპის პირველობათა ოქროს მედლები.

ესენი არიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ლური ხაბელოვი, ზაზა თურმანიძე და ძიუდოისტი კობა კურტანიძე. ამ სამმა ათლეტმა მაისში ისახელა თავი, მეოთხეს კი ივნისში.

ჯემალ მჭედლიშვილის გარდა კიდევ ექვსმა საბჭოთა სამბისტმა მოიპოვა პირველი ადგილები. ესენი არიან ჯეზაყაზანელი კ. ბაიშულაკოვი (48 კგ), კუიბიშეველი ი. ალიოხინი (62 კგ), მინსკელი ვ. იაპრინცევი (68 კგ), სვერდლოვსკელი ს. ვორობიოვი (74 კგ), მოსკოველი ნ. ფიხარიოვი (100 კგ) და სიმფეროპოლელი ვ. სერდიუკოვი (მძიმე წონა). ბულგარელთაგან უძლიერესი იყო ტურისების თვალსაზრისით განვიხილოთ, ალბათ, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მათი ცხოვრება შინაარსიანი, მრავალფეროვანი ხდება, რომ ისინი კვლავ გრძნობენ თავიანთ სოციალურ საჭიროებას, კვლავაც აქტიურ როლს ასრულებენ ცხოვრებაში. საზოგადოების მორალური სიჯანსაღისათვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ხანდაზმული ადამიანი თავს ზედმეტ ბარგად არ თვლიდეს, რომელიც თავისი არსებობით ტვირთად აწევს ახლობლებს.

ახლანდელ პირობებში, როცა საბჭოთა საზოგადოების გაჯანსაღების პროცესი მიმდინარეობს, როცა ჩვენი დევიზი გახდა —მეტი სოციალიზმი, მაშასადამე მეტი ჰუმანიზმი, — მოხუცებულთათვის ზრუნვა, ვეტერანებისადმი პატივისცემა სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი ხდება. კაცს, რომელმაც სიყრმიდანვე შეისისხლხორცა კოლექტივიზმი, მოხუცებულობაშიც უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ხორცი შეასხას თავის მისწრაფებებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. და აქ ვეტერანთა საკავშირო ორგანიზაციას, მის შესაბამის კომისიებს, როგორც დამფუძნებელ კონფერენციაზე აღინიშნა, შეუძლიათ უადრესად აქტიური როლი შეასრულონ. თითოეული ადამიანის შრომითი და სულიერი პოტენციალი მთლიანად უნდა ემსახურებოდეს სამშობლოს — ასე სვამს საკითხს პარტია, რადგან საზოგადოების სრულფასოვანი სულიერი ცხოვრება წარმოუდგენელია, თუ საკითხი მარტოოდენ რაციონალისტურად გადავწყვიტეთ: აჰა, პენსია, დანარჩენი კი შენი საქმეაო. ახალგაზრდა თაობების მთელ საქმიანობას იმდენად აქვს ფასი, რამდენადაც იგი განაგრძობს იმას, რაც წინა თაობებმა წამოიწყეს. მარტო იმას, ვინც ბევრი რამ ნახა და ფიქრა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, შეუძლია დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას იმ საქმეში, რომ გაერკვეს დღევანდელ ვითარებაში და იაროს წინ. განათლებას მარტოოდენ სკოლა და წიგნი არ იძლევა. იგი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგიც არის. შეიძლება სწორედ ეს იყოს ჩვენი ვეტერანების დიდმნიშვნელოვანი წვლილი: ეს ხალხი თავისი ყოფნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით ამდიდრებს გარემომცველთა ცხოვრებას. ისევე როგორც გარემომცველნი ამდიდრებენ მის ცხოვრებას.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲫᲐᲯᲘᲐᲘᲐ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ მიმდინარე მოკადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური პირველობის პირველ ტურში კრასნეკოვისა და სტურუას ბრძოლის შემდეგ, უკეთესი დაბოლოება მიიღო და დაამარცხა ხეცურიანი. გ. გიორგაძემ მოუგო შალამბერიძეს, ბაღათურომა — გედევანიშვილს. ორი პარტია გადაიდო. ტაბატაძეს უპირატესობა აქვს ეფიმოვთან, ხოლო მანგაძეს თბილისის ჩემპიონ პ. გაფრინდაშვილთან.

მეორე ტურში გიორგაძემ მოუგო კრასენკოს, ჯანჯღავამ — ეფიმოვს. ტყებუჩავამ — გედევანიშვილს, ბაღათურომა — შალამბერიძეს, ტაბატაძემ — გაფრინდაშვილს. სტურუა ყაიმზე შეუთანხმდა ხეცურიანს, ხოლო მანგაძე — ჩაჩიბაიას.

მესამე ტურში გიორგაძე დამარცხდა ხეცურიანთან, დამარცხდა სტურუაც, რომელიც ეფიმოვს ეთამაშებოდა. ბაღათურომამ მოუგო ტყებუჩავას, ყაიმით დამთავრდა გაფრინდაშვილ-ჯანჯღავას, ჩაჩიბაია-ტაბატაძისა და გედევანიშვილ-მანგაძის პარტიები.

სამი ტურის შემდეგ 3 ქულით წინ არის ოსტატი გია ბაღათუროვი. ჭაბუკ ოსტატ ლაშა ჯანჯღავას 2,5 ქულა აქვს.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. საბერძნეთში დამთავრდა ვაჟთა გუნდების შორის ევროპის 25-ე ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც „ა“ ჯგუფში ასპარეზობდა, ხუთივე მატჩი მოიგო, 10 ქულა დააგროვა და ამ ეტაპზე პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა ნაკრების მიერ პირველ სამ ტურში მოგებულ შეხვედრათა შედეგები ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. გთავაზობთ მეოთხე და მეხუთე ტურის მატჩების შედეგებსაც: სსრ კავშირი-საბერძნეთი — 69:66 (30:37), სსრ კავშირი-ესპანეთი — 104:88 (45:51). ჯგუფებში გუნდები საბოლოოდ ასე განაწილდნენ: „ა“ ჯგუფი. სსრ კავშირი — 10 ქულა, იუგოსლავია, ესპანეთი, საბერძნეთი — 8-8, საფრანგეთი — 6, რუმინეთი — 5; „ბ“ ჯგუფი. იტალია— 10, გფრ, პოლონეთი — 8-8, ჩეხოსლოვაკია — 7, ჰოლანდია და ისრაელი — 6-6 ქულა. მომდევნო ეტაპზე პირველობისათვის ბრძოლას ჯგუფებში პირველ-მეოთხე ადგილებზე გამოსული გუნდები განაგრძობენ. საბჭოთ